სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 30 აპრილი 2008 №096 (3320) ფასი 50 თეთრი

მოსკოვს ლუდის სჯერა

რუსებმა ინგლისური ფინალი მოქაფეს

21 მაისს ლუჟნიკი ფეხბურთის დიდ თეატრად იქცევა. თავისი ბუფეტით

გარნეტი ქართულ კედელს შეასკდა

ზაზა ფაჩულია დიდს შუბლით გაუსწორდა



„ატლანტამ" ამერიკული კალათბურთის მცოდნენი ჩააჩუმა, რაკილა სერიაში ანგარიში გაუთანაბრა „ბოსტონს".

და, სად იყო ამ დროს „ატლანტას" სათადარიგო ცენტრი ზაზა ფაჩულია? შიგ შოვლენების ეპიცენტრში გახლდათ მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 11 წუთი ითამაშა და ქულა არ გაუკეთებია. ვუდსონმა მას საპასუხისმგებლო დავალება მისცა — კევინ გარნეტის ამოკეტვა და ზაზამ ერთი ნაბიჯი არ დაუთმო თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელს. გარნეტმა ძვრა ვერ უყო ქართველს და ისე აეწეწა ნერვები, რომ მეორე მეოთხედის ერთ ეპიზოდში ფარქვეშ ბრძოლისას მას აშკარად გამიზნულად ჩარტყა იდაყვი. ზაზა დაეცა, მაგრამ არც ამ ჯერზე დაიხია უკან, წამოხტა, გარნეტს შუბლი შუბლზე მიაბჯინა და კარგა მაგრებიც უთხრა. ჩხუბის სუნი დატრიალდა, მაგრამ მსაჯები უცებ ჩადგნენ შუაში, მოედანზე საიდანღაც მაიკ ვუდსონი გაჩნდა და დაძაბულობა განმუხტა.

„ყველამ ვიცით, რომ ის დიდი მოთამაშეა, მაგრამ როცა მოედანზე ვართ, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს — თქვა ფაჩულიამ ნამატჩევს — ჩვენ ზედმეტი არაფერი გვინდა, ჩვენსას ვთამაშობთ. ჩვენ აქ საბრძოლველად ვართ და რომც წავაგოთ, იოლად არაფერს დავთმობთ!"

ЗА ДЕРЖАВУ?

სიტყვა და სამბო მხოლოდ რუსული

სამბოში ქართულ-ხალხურად გახსნილი ევროპის ჩემპიონატი რუსულად გაგრძელდა. მეტისმეტად რუსულადაც...

აქ მხოლოდ იმას არ ვგულისხმობთ, რომ რუსებმა გუშინ გათამაშებული 10 კატეგორიიდან რვაში ოქრო ირგუნეს — ბოლოს და ბოლოს, მათი მოგონილი სახეობაა. გულდასაწყვეტი ის არის, რომ სპორტის სასახლეში გუშინ ქართულ სიტყვას ვერ გაიგონებდით!

„რატომ არის გულშემატკივარი ვალდებული, თბილისში მიმდინარე ტურნირზე მხოლოდ რუს გამომცხადებელს უსმინოს?

ბრანკო ივანკოვიჩი ფოტო

ბრანკო ივანკოვიჩამდე სხვები რიგში არიან

არველაძეების მინისტრ-პრეზიდენტები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ევროპულ ვოიაჟს განაგრძობს და დღესდღეობით ყველაზე აქტუალურ სანაკრებო საკითხებთან დაკავშირებით ახალ ამბებს, სავარაუდოდ, ამ კვირაშივე ჩამოგვიტანს.

ამ კვირაშივე, თუ რამ არ შეიცვალა, 2 ან 3 მაისს, თბილისში გვესტუმრება სადღეისოდ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატი ბრანკო ივანკოვიჩიც.

როგორც იცით, ხორვატ სპეციალისტთან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას წინასწარი მოლაპარაკება უკვე ჰქონდა და ახლა სწორედ ის დროა, მხარეებმა თავიანთი მოთხოვნები უფრო დააკონკრეტონ და საბოლოო სიტყვის სათქმელად მოემზადონ.

„დიახ, ბრანკო ივანკოვიჩი უახლოეს დღეებში ჩამოვა. ამჟამად სწორედ ის არის ჩვენი ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ყველაზე განხილვადი კანდიდატურა და ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად თბილისში ველით. ცხადია, ივანკოვიჩი ჩვენს საფეხბურთო ინფრასტრუქტურასაც გაეცნობა, თუმცა მისი ვიზიტის მთავარი მიზანი სწორედ მოლაპარაკებები იქნება“ — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ.

ივანკოვიჩთან მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში ფედერაციის ხელმძღვანელები კიდევ რამდენიმე მწვრთნელთან გააგრძელებენ შესაძლო თანამშრომლობაზე საუბარს — ივანკოვიჩის შემდეგ რიგში რამდენიმე სპეციალისტი დგას.

სანაკრებოს გარდა გუშინ რევაზ არველაძეს მისი ძმის, შოთას გამოსამშვიდობებელ მატჩთან დაკავშირებითაც ვკითხეთ, ცნობილ ფეხბურთელებთან ერთად თბილისში ვის ველოდოთ-თქო...

„საპატიო სტუმრების ვინაობასა და საორგანიზაციო საკითხებზე ჩვენი საქველმოქმედო ფონდი 12 მაისის პრეზენტაციაზე მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას. იქამდე კი გეტყვით, რომ შოთას ბენეფისზე თბილისში ჩამოვა თურქეთის სპორტის მინისტრი, ვინც შოთას დროინდელი „ტრაბზონის“ პრეზიდენტი იყო და მასთან ერთად „ტრაბზონის“ ახლანდელ ხელმძღვანელებსაც ველით. ჩამოვა „ალკმაარის“ დირექტორი, „აიაქსის“ გენერალური მენეჯერი, მეგობართა ჯგუფი შოტლანდიიდან. მოკლედ, დიდი სტუმრიანობის მოლოდინში ვართ, ყოველდღიურად მოგვდის დასტური მათ ჩამოსვლასთან დაკავშირებით“.

კოგა ინასარიძე

მოგვთხოვონ და შევასრულებთ!

ზურაბ მენთეშაშვილი: ნაკრებში ამოუცნობი სენია

თითქმის ექვსთვიანი უქმობის შემდეგ ზურაბ მენთეშაშვილი ფეხბურთს დაუბრუნდა. საქართველოს ნაკრების საყრდენ ნახევარმცველს ლიტვასთან შესარჩევი მატჩის დროს კუნთი გაუწყდა, შემდეგ კი აქილევსის მყესმა შეაწუხა და მას შემდეგ არ უთამაშია. ლატვიის ჩემპიონატიც მენთეშაშვილის გარეშე დაიწყო — ქართველი ფეხბურთელი მოედანზე ოდენ მეხუთე ტურში, „რიგასთან“ (0:1) მატჩში 22 წუთით გამოჩნდა...

— თითქმის ნახევარი წელი გამიცდა. ძნელი ყოფილა ამხელა დროის მანძილზე უფეხბურთოდ ყოფნა. ერთი სული მქონდა, მოედანზე როდის გავიდოდი. გუშინწინ 20-22 წუთი ვითამაშე და გამიჭირდა.

— ცხადია, ჯერ სასურველ ფორმაში არ იქნები...

— ალბათ, ერთი თვე მაინც მინდა, რათა ოპტიმალურ ფორმაში შევიდე.

— ამ ერთ თვეში საქართველოს ნაკრებს ამხანაგური თამაშები აქვს. როგორ ფიქრობ, გამოგიძახებენ პორტუგალიასთან და ესტონეთთან მატჩებში სათამაშოდ?

— აბა, რა ვიცი... მართლა, მწვრთნელი დანიშნეს?

— ჯერ არა...

— არც საუბრობენ ვინმეზე? უმწვრთნელოდ ხომ არ ვითამაშებთ?!

— რამდენიმე ვარიანტია და ალბათ რამდენიმე დღეში დანიშნავენ. კლაუს ტოპმოლერის დროს ხშირად თამაშობდი ნაკრებში. რას იტყვი მასზე, მაინც როგორი მწვრთნელი იყო?

— ჩემი აზრით, კარგი მწვრთნელი იყო. მისი სისუსტე, ალბათ, ის გახლდათ, რომ მომთხოვნი არ იყო, ჩვენთან კი ეს არ ვარგა.

— დისციპლინა მაინც და მაინც მწვრთნელმა უნდა მიგითითოთ? ფეხბურთელები რატომ არ სთხოვთ საკუთარ თავს?

— ეს, ალბათ, უფრო ქართული ხასიათის ბრალია. სხვა რომ მოგვთხოვს, უკეთესად შევასრულებთ.

— გამოდის, ნაკრებში დისციპლინა არ არის...

— არც მთლად ასეა საქმე. უდისციპლინოები არ ვართ, უფრო ფსიქოლოგიური ხასიათის და განწყობის ბრალი უნდა იყოს ყველაფერი. არც ფეხბურთელები გვყავს სხვაზე ნაკლები, მაგრამ მთლიანობაში რაღაც გვაკლია და ეს რაღაც არის ამოუცნობი.

— კეთილი. და თუ მკაცრი მწვრთნელი დაინიშნა, რა შანსები აქვს ნაკრებს მომავალ შესარჩევში?

— იტალიის გარდა, ყველას ერთნაირი შანსი გვაქვს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ჟაკ სანტინი დღეს იტყვის

რატომაც არა: გავიხილოთ საქართველოც

ბრანკო ივანკოვიჩი საქართველოს ნაკრებში გათავკაცების ყველაზე რეალური კანდიდატურაა და უკვე ცხადია, პირველი მწვრთნელი, რომელთანაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გადამწყვეტ მოლაპარაკებაზე წავა, სწორედ ხორვატი სპეციალისტია.

თუმც სიაში სხვებიც არიან და ამას ფედერაცია არც მალავს. ერთ-ერთი სხვათაგანი ფრანგი ჟაკ სანტინია — „ოსერსა“ და „ლიონში“ სახელგანთქმული სპეციალისტი, რომელმაც შემდგომ საფრანგეთის ნაკრებსა და ინგლისურ „ტოტენჰემში“ ასეთივე წარმატებით ვეღარ იმუშავა.

ათიოდ დღის წინ სანტინის ჩვენი ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ალენ ჟირესის თანაშემწე გია გურული დაუკავშირდა ქართულ ვარიანტზე და ფრანგმაც 10 დღე ითხოვა მოსაფიქრებლად.

„გუშინ დავუკავშირდი სანტინის პასუხის გასაგებად და მითხრა, ოთხშაბათს დამირეკეო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამის თაობაზე საქმის კურსშია. სანტინის სხვა წინადადებებიც აქვს, ამიტომ ჯერ ძნელია იმის თქმა, რას გადაწყვეტს“ — გვითხრა გუშინ გურულმა.

მუსიე ჟაკს რომ ტუნისის ნაკრების მწვრთნელობას სთავაზობენ, ამის შესახებ უკვე გამცნეთ.

და რამდენად მოსალოდნელია, რომ სანტინიმ საქართველოს ნაკრების გაწვრთნა მოინდომოს?

„როდესაც საქართველოს ნაკრებზე ჩამოვუგდე სიტყვა, სანტინიმ მითხრა, რატომაც არა, განსახილველად მზად ვარო. მწვრთნელია და რატომ არ უნდა იკადროს თუნდაც იმ ნაკრების გაწვრთნა, რომელსაც კარგი შედეგები არ აქვს?!“

ილია ნანოგაშვილი

გიორგი ელბაქიძე „ამერის“ ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, ივნისში 20 წლისა გახდება, თუმცა, ასაკის მიუხედავად, უკვე იმდენი ჯილდო აქვს მოგებული, ბევრი ვერ დაიკვეხნის — ორჯერ საქართველოს თასი და ორიც სუპერთასი. ის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელცაა. „ბორჯომთან“ თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში ელბაქიძემ ულამაზესი გოლი გაიტანა, რისი წყალობითაც „ამერმა“ 4:1 მოიგო და საპასუხო მატჩის წინ სოლიდური უპირატესობა მიიღო. ეს გოლი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ახალგაზრდა მარცხენა მცველისთვის პირველი იყო პროფესიულ კარიერაში, არადა, საქართველოს ჩემპიონატში 15 წლიდან თამაშობს. მადა ჭამაში მოდისო და, ჩემპიონატის 23-ე ტურში ელბაქიძემ ისევ შეაგდო და ზუგდიდელთათვის გატანილი ეს ბურთი საფეხბურთო მიმოხილვა „გოლში“ ტურის საუკეთესო გოლადაც აღიარეს...

ორმაგად საწყენი დინამო: შეცდომა და ჩამოტეხილი კბილი

გიორგი ელბაქიძე: უნდა ამოვტვიფროთ!

ბაღრი კვირელაძის ფოტო

— ბავშვობაში ცოტა ხანი ნახევარმცველად ვთამაშობდი და გოლებიც გამქონდა. იმის მერე კი არ გამეტანა. საქართველოს ჩემპიონატში მეხუთე სეზონს ვატარებ — მეორე, პირველ, უმაღლეს ლიგებში, საქართველოს და უეფას თასებზე, ამხანაგურებში თითქმის 200 მატჩი მაქვს ჩატარებული და პირველი გოლი წლეულს, 8 აპრილს გავიტანე „ბორჯომთან“ სათასო მატჩში.

— თუმცა „ამერის“ სხვა მცველებს უფრო ხშირად გააქვთ...

— ისინი უფრო ხშირად ერთვებიან შეტევებში. კუთხურების და ჯარიმების გათამაშებისას ჩვენს ცენტრალურ მცველებს მეტოქის საჯარიმოში ჩასვლაც ევალებათ და, შესაბამისად, საგოლე მომენტებიც ხშირად აქვთ.

— „ბორჯომთანაც“ და „მგლებთანაც“ შორიდან გაიტანე...

— მომენტი თუ მომეცემა, ვცდილობ ხოლმე შორიდან დარტყმას, მაგრამ აქამდე არ მიმართლებდა. ამ ორ მატჩში კი გამომივიდა და ძალიან გახარებული ვარ. თან, „ბორჯომთან“ გატანილი გოლი გუნდისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო — სად, ორბურთიანი უპირატესობა რომ გაქვს საპასუხო მატჩის წინ და სად, სამბურთიანი უპირატესობა.

— გუნდშიც განსაკუთრებულად მოგილოცავდნენ პირველ გოლს...

— რა თქმა უნდა. საერთოდ, ძალიან მაგარი გრძნობაა, გოლს რომ გაიტან.

— ამ სეზონში ძალიან საიმედოდ თამაშობ, თბილისის „დინამოსთან“ მატჩს თუ არ ჩავთვლით...

— მეც არ ვარ უკმაყოფილო ჩემი თამაშით, აი, „დინამოსთან“ მატჩზე კი რა გითხრათ... ჩემი უცუდესი თამაში იყო. „დინამოს“ და „ამერის“ ყოველი შეხვედრა ძალიან დაძაბულია და შეიძლება ერთმა შეცდომამ მატჩის ბედი გადაწყვიტოს. ძალიან განვიცადე, ის თამაში ჩემი შეცდომის გამო რომ წავაგეთ. ოთხი წლის წინაც დამემართა ასეთი რამ, პირველ ლიგაში „ქობულეთს“ ვეთამაშებოდით და საკუთარ კარში შევაგდე.

— როგორც ვიცი, „დინამოსთან“ მატჩში კბილიც მოგტყდა...

— ასეა, ბურთი მომხვდა სახეში და მაშინ მომტყდა.

— „ბორჯომთან“ საპასუხო მატჩში ალბათ მიზნად ის არ გექნებათ, ოღონდ სამი გოლი არ გავუშვათო...

— ჩვენ მოსაგებად ვითამაშებთ და ისიც ვიცით, თუ მოვეშვებით, შეიძლება, დავისაჯოთ. ამის გამოცდილება გვაქვს: შარშანდელ ნახევარფინალში „სიონს“ 3:0 რომ მოვუგეთ და საპასუხოში დამატებით დრომდე მივიდა საქმე.

— ფინალში ვის ისურვებ, „დინამოს“ თუ „ზესტაფონს“?

— არა მგონია, პრინციპული განსხვავება იყოს. ორივე ძალიან კარგი გუნდია, მით უმეტეს, ფინალში ნებისმიერი გუნდი მთელი მონდომებით თამაშობს.

— და ცხადია, საქართველოს თასის მესამედ მოგებაც ძალიან გინდა...

— ცხადია, თან ახალი თასია და მინდა, რომ მასზე პირველად „ამერი“ ამოიტვიფროს.

კოტე კეკელია

ქალების ჩვეული სტარტი

ბაქოში ქალ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომელშიც მასპინძლებთან ერთად მაკედონიის, ლიტვისა და საქართველოს ნაკრებები მონაწილეობენ.

ქართველმა ქალებმა პირველი მატჩი აზერბაიჯანელებთან გამართეს და 0:3 დამარცხდნენ. ორი გოლი ანა ალეკპეროვამ გაუტანა ქართველებს, ერთიც ნორა აბდულაევამ.

მეორე მატჩში კი მაკედონიამ ლიტვას 3:1 მოუგო.

ღღეს ჩვენები მაკედონიას შეხვდებიან, 3 მაისს კი ლიტვას.

მიხეილ ჟორჟოლიანი



შტურმი და იაშვილი: მთავარია ფასი

სანდრო იაშვილმა რომ გრაცის „შტურმში“ ივარჯიშა, ეს უკვე გვეწერა. საქართველოს ჩემპიონატის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი უკვე „თუნში“ დაბრუნდა, თუმც, სავარაუდოდ, ცოტა ხნით — „თუნი“, ფაქტობრივად, გავარდნილია შვეიცარიის სუპერლიგიდან და როგორც შევიტყვეთ, ქვედა ლიგაში გუნდს ბევრი ფეხბურთელი არ გადაჰყვება, მათ შორის, იაშვილიც.

„შტურმი“ 28 მაისს იწყებს ახალი სეზონისთვის მზადებას, რაკიღა ინტერტოტოს თასზე გავიდა. გადავა თუ არა „იაშვილი“ „შტურმში“, ზუსტად ვერ გეტყვით, თუმც გრაცელებს მისი შეძენის სურვილი ჰქონიათ და მხოლოდ ფინანსურ საკითხზე შეთანხმებაღაა საჭირო. ჩვენიანიც, სავარაუდოდ, 28 მაისს ჩააკითხავ ავსტრიულ კლუბს.

ილია ნანობაშვილი

კალაძე გადარჩა

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ „ლივორნო“ — „მილანის“ (1:4) მატჩის ბოლო წუთებზე დავიდე ბალერისთან ორთაბრძოლისას ტრავმა მიიღო, თუმცა, როგორც გაირკვა, საშიში არაფერია.

„ერთ მომენტში ფეხი მეტკინა, მაგრამ საბედნიეროდ, სერიოზულ ტრავმას გადავურჩი. უკვე თავს კარგად ვგრძნობ და მომავალ მატჩშიც აუცილებლად ვითამაშებ“ — განაცხადა კალაძემ.

მომავალი მატჩი კი დერბია: „მილანი“ „ინტერს“ ხვდება და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის უეჭველი გამარჯვება სჭირდება.

კახა შალამბერიძე

ინწკირველს ყვითელი გაუქრეს

აზერბაიჯანის ჩემპიონატის 22-ე ტურში „გიანჯლარბირლიგისთან“ სტუმრად 1:3 წაგებულ შეხვედრაში „კარვანის“ ქართველ მცველ ალექსანდრე ინწკირველისთვის მიცემული ყვითელი ბარათი ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა გუშინ გააუქმა.

როგორც გაირკვა, ამის მიზეზი ის გახდა, რომ მატჩის არბიტრმა ფეიზულა ფეიზულაევმა თურმე ოქმი არასწორად შეავსო და ახლა მის საქმეს აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტი განიხილავს.

ოქმის მიხედვით, ინწკირველმა გაფრთხილება ძირითადი დროისთვის წამატებულ მე-3 წუთზე მიიღო.

კახა შალამბერიძე

ელიავას სარეზერვო პენალტი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი ზაალ ელიავა რიგის „სკონტოს“ ძირითად შემადგენლობას, სავარაუდოდ, დიდი ხნით ჩამოშორდა.

ზამთარში ელიავას კლუბის შეცვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ არ გამოუვიდა. ეტყობა, ამ ფაქტმა სკონტოელთა ხელმძღვანელობა გააღიზიანა და ელიავასაც სარეზერვო გუნდში უკრეს თავი.

კვირას „სკონტოს“ რეზერვისტებმა „რიგას“ 1:0 მოუგეს. ელიავა კი იმით „გამოირჩა“, რომ პენალტი გააცუდა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კვირკველია საუკეთესო მარცხენაა

მოსკოვის „დინამოსთან“ (2:0) კარგად ჩატარებული მატჩის შემდეგ რუბინელმა დავით კვირკველიამ „სპორტ-ექსპრესის“ მარცხენა მცველთა ნომინაციაში საუკეთესობა დაიბრუნა — ქართველ ფეხბურთელს 5,86 ქულა აქვს და პარალელურად, ამ მაჩვენებლით მესამეა სეზონის ახალწვეულებში. კვირკველია თავისივე თანაგუნდელებს, თურქ გიოკდენიზ კარადენიზსა და არგენტინელ კრისტიან ანსალდის ჩამორჩება.

სამაგიეროდ, კარადენიზს მარგი ქმედების კოეფიციენტში სჯობნის და ამ ნომინაციაში ანსალდისთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.

ქულების საშუალო მაჩვენებლით საუკეთესოთა შორის უნდა იყოს ლაშა სალუქვაძეც, მაგრამ ჩვენებურს თამაშების საჭირო რაოდენობა არ მოუგროვდა — ერთი აკლია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გოგუას იღბლიანი გაძევება

მეორედ გავიდა ქართველი ნახევარმცველი ვოვიტა გოგუა ნალჩიკელთა მაისურით მოსკოვის „ლოკომოტივის“ (0:0) წინააღმდეგ სათამაშოდ მოედანზე და ბოლომდე ვერც ეს მატჩი ჩაამთავრა — ჩვენებური ორი ყვითელი ბარათით გააძევეს.

გოგუა ნალჩიკელთა ლიდერია წითელი ბარათების მხრივ — ვოგიტა სამჯერ გაადგეს მოედნიდან. მისი თანაგუნდელებიდან ერთზე მეტჯერ სხვა არავინ გაუგდიათ.

რუსმა ჟურნალისტებმა ისიც შეამჩნიეს, რომ გოგუას მოედნიდან გაძევება ყაბარდოელებისთვის იღბლიანი ყოფილა — ასეთ მატჩებში „ნალჩიკს“ ერთხელაც არ წაუგია: 2006 წელს „ლოკომოტივთან“ 3:2 მოიგო, „მოსკვასთან“ 2:2 ითამაშა და ბოლოს ზემოთ ნახსენები ფრე გაადგორა იმავ „ლოკომოტივთან“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 23 ტური

ქართლური შლაგბაუმი

დინამომ ვიტ ჯორჯიას და ზესტაფონს სპარტაკი დაუგო

23-ე ტურიც ჩათამაშდა და პირველ ლიგაში დაქვეითებული ერთი გუნდის ვინაობაც გაირკვა — გორის „დილა“.

გორელებმა ბორჯომში 2:3 წააგეს და ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ოფიციალურად გახდნენ პირველლიგელები.

ქართლელებმა მეორე წრეში თითქოს შემადგენლობა გააძლიერეს, მწვრთნელიც შეცვალეს, მაგრამ ეს მათ თამაშს არ დასტყობია — სულ 2 ქულა მოიპოვეს და 3 გოლი გაიტანეს.

„დილა“ აქამდე ორჯერ დაქვეითებულა პირველ ლიგაში, თუმცა ერთხელ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაიზარდა და პირველლიგელობაც ამიტომ აღარ მოუწია.

ტურის მეორე მთავარი ამბავი გორში მოხდა — ცხინვალის „სპარტაკმა“ ჯერ კიდევ ჩემპიონობაზე მოფიქრალ „ზესტაფონს“ დიდი ბრძოლა გაუმართა, გიორგი ხიდაშელის გოლებით ორჯერ იგებდა კიდეც, საბოლოოდ კი მატჩი 2:2 დამთავრდა.

კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებმა რამდენიმე ტურის წინ „ქართლზე“ „ვიტ ჯორჯიას“ გამოჰგლიჯეს ქულა, ახლა კი „ზესტაფონს“ არ დაუთმეს არაფერი. ამით თავიანთი საქმეც გააკეთეს და „დინამოსაც“ წაუკრეს ხელი — ჩემპიონობას ძალიან მიაახლოვეს.

ცხინვალელებმა ლიდერებთან კი იყოჩაღეს, მაგრამ საპლეიოფო ადგილიდან ზემოთ ასასვლელად დარჩენილ მატჩებში მოგებები დასჭირდებათ.

თემურ მახარაძის გუნდი ამ დაკარგული ქულების შემდეგ ჩემპიონობას, ფაქტობრივად, დაემშვიდობა, თუმც მომავალ ტურში ზესტაფონში „დინამო“ ჩადის და ამ თამაშს დაძაბულობა მაინც არ მოაკლდება.

ჩემპიონატის ფავორიტმა თბილისის „დინამომ“ ახალციხის „მესხეთს“ 5:1 სძლია. ახალციხელებს პირველ ტაიმში ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ, მაგრამ მერე კლასმა თავისი გაიტანა.

აღსანიშნავია, ჟორჟ აკირემის გარჯა — გაბონელმა საკუთარ თავს დაბადების დღე ჰეთ თრიქით მიულოცა.

ამ გამარჯვებით დინამოელებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს ჩემპიონობისკენ.

კიდევ ერთმა ჩემპიონობის მსურველმა „ვიტ ჯორჯიამ“ ნახევარ საათში მოუთავა ხელი სტუმრად „ბათუმს“ — დედაქალაქელებმა ზღვისპირელებს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს.

მომავალ ტურში ვიტელები ალბათ ასე ველარ გაისეირნებენ. მცხეთაში „ამერი“ ესტუმრებათ და ჩემპიონობის შანსის შესანარჩუნებლად უეჭველი მოგება სჭირდებათ, მაგრამ ვეჭვობთ; ამერელები ამას შეეგუონ.

ბათუმელებმა კი დარჩენილ სამ ტურშიც ასე თუ იბურთავეს, პირველ ლიგაში დაქვეითება ნაღდად არ ასცდებათ.

თბილისის „ლოკომოტივმა“ მიჯრით მესამედ მოიგო. თანაც, გიორგი კიკნაძის გუნდმა ამ ტურში უშუალო კონკურენტ „მერანს“ სძლია ვიტალი დარასელიას გოლით და თითქმის სამშვიდობოსაა. „ლოკომოტივი“ მომავალ ტურში ცხრილში მეზობელ „სპარტაკს“ დაუხვდება და თუ მასაც მოუგებს, უმაღლეს ლიგაში დარჩენას გაინაღდებს.

მეოთხე ადგილისთვის დიდი ბრძოლა აქვთ გაჩაღებული „ამერს“ და „ოლიმპს“. ამერელებმა პირველ ტაიმში ზუგდიდის „მგლებს“ ოდენ ერთი გოლი გაუტანეს, მეორეში კი ოთხი ამდენი და მეოთხე პოზიციაც შეინარჩუნეს.

რუსთავის „ოლიმპს“ კი ბოლნისში „სიონის“ ძლევა გაუჭირდა. მასპინძლებმა ზურაბ ავალიანის გოლით ტაიმიც მოიგეს, თუმც მეორე 45 წუთში რუსთაველებმა ორი გოლის გატანა მოახერხეს და საჭირო 3 ქულა მოიპოვეს.

ბოლნისელთა მწვრთნელმა გიორგი ყიფშიძემ ნამატჩევს ორივე გოლში მეკარე გიგა იაშვილი დაადანაშაულა.

ნუკრი ლოლაძე

ბათუმი 0:3 ვიტ ჯორჯია
სიონი 1:2 ოლიმპი
ამერი 5:0 მგლები
ბორჯომი 3:2 დილა
დინამო 5:1 მესხეთი
მერანი 0:1 ლოკომოტივი
სპარტაკი 2:2 ზესტაფონი

დინამო	23	20	1	2	58:13	61
ვიტ ჯორჯია	23	18	3	2	43:10	57
ზესტაფონი	23	17	4	2	53:14	55
ამერი	23	14	2	7	46:24	44
ოლიმპი	23	13	4	6	23:16	43
მესხეთი	23	9	5	9	24:28	32
ბორჯომი	23	9	4	10	28:29	31
მგლები	23	8	3	12	21:29	27
სიონი	23	7	5	11	24:32	26
ლოკომოტივი	23	6	5	12	16:26	23
სპარტაკი	23	4	7	12	10:25	19
მერანი	23	5	1	17	12:46	16
ბათუმი	23	4	3	16	13:44	15
დილა	23	1	5	17	10:47	8

ბომბარდირები

14 - მ. ხუციშვილი — *დინამო*
12 - ბ. ჟერებაშვილი — *დინამო*
დ. ტატანაშვილი — *ამერი*
11 - ჟ. ვეეირა — *ზესტაფონი*

24-ე ტური

2 მაისი, პარასკევი
მესხეთი – ბათუმი
ლოკომოტივი – სპარტაკი
მგლები – სიონი
დილა – მერანი
3 მაისი, შაბათი
ზესტაფონი – დინამო
ვიტ ჯორჯია – ამერი
ოლიმპი – ბორჯომი



სიმბოლური ნაკრები

ამერელებმა „მგლები“ ხუთჯერ დაბომბეს

გაფრი ალექსიძის ფოტო

გურამ დოლიძის ფოტო

საქართველო: ნაბიჯი წინ!

ჟორჟ აკირემი ოქროს ელის

თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი ერთი კვირის წინ 26 წლის შესრულდა და დაბადების დღე ახალციხის „მესხეთთან“ მატჩისას გატანილი ჰეთ თრიქით აღნიშნა. ყოველი გატანილი გოლისას კი გაბონელი ფორვარდი ხელებს ზემოთ აღაპყრობდა, ღმერთს მადლობას სწირავდა. „მესხეთთან“ მატჩი აკირემისთვის ალბათ ცხოვრებაში ყველაზე დასამახსოვრებელი იქნება — საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრეში მას ბევრი გაუცდა და სწორედ თავის დღეობაზე, 23 აპრილს დაბრუნდა „დინამოს“ შემადგენლობაში...

— ჩემპიონატის მეორე წრისთვის მოსამზადებელი პერიოდის დაწყებისთანავე დავშავდი, ვიმკურნალე, მაგრამ მოგვიანებით ტრავმა გამიმიზეზდა და ძირითადში ადგილიც ალბათ ამიტომ დავკარგე — გვითხრა „დინამოს“ გაბონელმა ლეგიონერმა — თანაც ზედიზედ ორი ტრავმის შემდეგ, ცხადია, სასურველი ფორმის აღდგენა გამიჭირდა.

— შენი ადგილი კი მათე ვაწაძემ დაიკავა...

— მათე კარგი ბიჭი და ჩინებული ფეხბურთელია, მას ყველა მონაცემი აქვს დიდი ფეხბურთის სათამაშოდ. „დინამოში“ კი კონკურენცია არის და, რა თქმა უნდა, კონკრეტულ მატჩში მწვრთნელიც მას ათამაშებს, ვინც უკეთეს ფორმაშია.

— დაბადების დღეზე, თანაც ჰეთ თრიქით ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას კი ალბათ მაინც სხვა ფასი აქვს...

— ცხადია, „მესხეთთან“ მატჩისას მართლაც უბედნიერესი ადამიანი ვიყავი. ყველანაირად დიდი მოტივაცია მქონდა და ძალიან გამიხარდა, რომ ჩემი ჰეთ თრიქით საერთო მიზანს ერთი დიდი ნაბიჯით მივუახლოვდით.

— ამ მიზანზეც გკითხავ: შენი თავი და „დინამო“ უკვე ჩემპიონად წარმოგიდგენია?

— არა, ამ ტიტულამდე ჯერ კიდევ სამი მატჩია და ოდნავაც თუ მოვდუნდით, შეიძლება, ძალიან ძვირად დაგვიჯდეს. ისე კი, ყველა დამეთანხმება, „დინამოს“ ჩემპიონობის მართლაც რეალური შანსი აქვს.

— იქამდე კი გუნდს საქართველოს თასის საპასუხო ნახევარფინალი ელის...

— „ზესტაფონთან“ თბილისური 1:1 მეტოქეს მცირე უპირატესობას აძლევს, მაგრამ სტუმრებმა თუ ჩვენს მოედანზე გაიტანეს გოლი, იგივეს გაკეთება, მეტის თუ არა, „დინამოსაც“ შეუძლია საპასუხო თამაშისას. ფინალში გასვლა ძნელი იქნება, მაგრამ საამისოდ ცდას არ დავაკლებთ.

— საქართველოს ჩემპიონატში რომელია შენთვის ყველაზე უხერხული მცველი?

— ედიკ საჯაია და დავით ლომაია. ვფიქრობ, რომ საკმაოდ სწრაფი და ჯანიანი ფორვარდი ვარ, ესენი კი ჩემს უპირატესობას სხვადასხვა საფეხბურთო ხერხებით აბათილებენ და მათთან ორთაბრძოლა მიჭირს ხოლმე.

— სეზონი მალე დამთავრდება. რას იტყვი, საქართველოში გატარებული ეს ერთი წელიწადი, შენს კარიერაში წინგადადგმული ნაბიჯია?

— რა თქმა უნდა, ვთამაშობ კარგ გუნდში, კარგი ფეხბურთელების გვერდით, ჩემპიონობამდე სულ ერთ ნაბიჯში ვარ და ვერ ვიტყვი, რომ ეს სეზონი ჩემთვის წარუმატებელია.

კობა ინასარიძე

მაკარიძე კარში გამოჩნდა

ახალი სეზონიდან უცხოეთში?

ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრების მეკარე, 17 წლის გიორგი მაკარიძე თბილისის „დინამო 2“-ში კი ირიცხება, მაგრამ აქამდე მხოლოდ სათადარიგოობა უწევდა, ბოლო ტურში კი აგარის „მეშაქრესთან“ მატჩში ძირითადშიც გამოჩნდა და კარიც მშრალად შეინახა (0:0).

„გიორგი ლოსაბერიძემ ტრავმა მიიღო და ამიტომაც მომიწია თამაშმა. „დინამო“ თანახმაა, სეზონის დასრულების შემდეგ გამიშვას, თუმც „ზესტაფონში“ გადასვლა გამორიცხულია. რამდენიმე ევროპულ კლუბს სურს ჩემი წაყვანა, მაგრამ მათი დასახელებისგან ჯერ თავს შევიკავებ“ — გვითხრა გუშინ მაკარიძემ.

ნუკრი ლოლაძე

საქართველოს პირველი ლიგა 19 ჩემპიონატი

24 ტური

აღმოსავლეთი

ნ. დინ-მერანი 2 0:3 კახეთი

0:1, 0:2 ლომიძე (21, 84), 0:3 ბიძინაშვილი (87)

ნ. დინ-მერანი 2: დგებუაძე, დაბრუნდაშვილი, ი. ქავთარაძე, ი. ქუხილავა, ხუჭუა, ჩიტალაძე (გავაშელი 60), გურჩიანი, ღვთისავრიშვილი, ა. შენგელია, კაკულია, ჯორჯიკია

სათადარიგო: ტოსტიაშვილი

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

კახეთი: მარგოშვილი, ტარულაშვილი, გ. ლომიძე, ბედოიძე (მურველაშვილი 46), შ. ლობჟანიძე (აბდულაევი 83), კევლიშვილი, კუპრაშვილი, ბურდული, ბიძინაშვილი, ძამუკაშვილი, ლ. ტეტიაშვილი (ჩუთლაშვილი 70)

სათადარიგონი: ზარქუა, გ. ოთარაშვილი

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: ლობჟანიძე

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

100 მაყურებელი

მეშაქრე 0:0 დინამო 2

მეშაქრე: აბრამიშვილი, დონდოლაძე, ლ. ტყებუჩავა, გვარუციძე, გაგნიძე, გ. ლაცაბიძე, ა. ჯანელიძე (ბ. გოცირიძე 34), კავთელაძე (ფაილოძე 34), ლ. კობახიძე, ლ. მანწკავა, ებანოიძე (ჩიხლაძე 62)

სათადარიგონი: დერევიანჩენკო, თარგამაძე, ობგაიძე, ი. სიხარულიძე

მწვრთნელი: გოჩა ტყეებუჩავა

დინამო 2: მაკარიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ჩადუნელი, ა. ტეტუნაშვილი, კოპაძე (კანდელაკი 73), ნემსაძე, ჯიშკარიანი, ჯოხაძე, ი. სიხარულიძე, ქანთარია

სათადარიგონი: ლოსაბერიძე, კაჭკაჭიშვილი, ჭადაშვილი, გ. ჩიკვაიძე, გ. ოთარაშვილი, ი. ხვადაგიანი

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: ტყეებუჩავა, გაგნიძე, ჯიშკარიანი

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

200 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია 2 3:0 ჩიხურა

1:0, 2:0 მაისაშვილი (12, 37), 3:0 ჯანელიძე (60)

მიქაძემ ვერ გაიტანა პენალტი (77)

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, პირველი, ადამაძე, კასრაძე, კაიშაური, ვასაძე, კვაღინიძე (ვეკუა 46), ინჯგია, მაისაშვილი (ლანიაშვილი 72), გ. ჯანელიძე, ჯიქიძე (როსტიაშვილი 62)

სათადარიგონი: ღურბელეიშვილი, სორდია, ზაქრაძე

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

ჩიხურა: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი (გულიაშვილი 53), ბარაბაძე, ზივზივაძე, ვ. ზაბახიძე, დოლონაძე, ი. ზაბახიძე (ხვედელიძე 86), ჭიღლაძე, ლ. ჩიკვაიძე (როგავა 53), მ. მიქაძე, პეტრიაშვილი

სათადარიგონი: ბეგაშვილი, ცარციძე, გ. ენუქიძე, ივანიშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ბარაბაძე, მიქაძე, კაიშაური

მსაჯი: ო. ხეცაძე

100 მაყურებელი

ამერი 2 7:0 ოლიმპი 2

1:0 ჩიმაკაძე (9), 2:0 სილაგავა (38), 3:0 ჩიმაკაძე (43), 4:0 ხუციძე (56), 5:0 კბილეცეცხლაშვილი (58), 6:0 ხუციძე (72), 7:0 სილაგავა (86)

ამერი 2: გვენცაძე, კეკელია, გ. ჯელაძე, გვაძაბია, დ. სიჭინავა (ვ. ჯელაძე 38), გ. სიჭინავა, ბოჯგუა, ხუციძე, სილაგავა, ჩიმაკაძე (ხარაძე 60), ტატანაშვილი (კბილეცეცხლაშვილი 46)

სათადარიგონი: გოგიაშვილი, თ. სანიკიძე, გ. მუშკუდიანი, გრძელიძე

მწვრთნელი: დავით მახარაძე

ოლიმპი 2: კალანდაძე, სარაჯიშვილი (ლაფერაშვილი 68), ცოცხალაშვილი, გ. ოდიშარია, ჭაფოძე, გ. გურეშიძე, გ. იაშვილი (სულუხია 59), ზვიადაძე, მახარაშვილი, გუგუჩია, ტორონჯაძე (გავაშელიშვილი 82)

სათადარიგონი: ვ. ლობჟანიძე, ი. დევდარიანი

მწვრთნელი: გელა გომელაური

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

100 მაყურებელი

გაგრა 5:2 ოლიმპიკი

გაგრა	24	13	6	5	51:36	45
ვიტ ჯორჯია 2	24	13	5	6	37:18	44
მეშაქრე	24	12	8	4	32:19	44
დინამო 2	24	12	7	5	33:19	43
ჩიხურა	24	11	6	7	37:32	39
ოლიმპი 2	24	8	8	8	30:33	32
კახეთი	24	9	4	11	36:36	31
ამერი 2	24	9	2	13	40:36	29
ოლიმპიკი	24	5	4	15	31:50	19
ნ.დინ-მერანი 2	24	0	6	18	17:65	6

XXV ტური

4 მაისი, კვირა

ოლიმპი 2 – ნ.დინ-მერანი 2

ოლიმპიკი – ამერი 2

დინამო 2 – გაგრა

ჩიხურა – მეშაქრე

კახეთი – ვიტ ჯორჯია 2

დასავლეთი

ხობი 0:0 ზესტაფონი 2

ხობი: ხარძიშვილი, გ. გოგენია, ფარფალია, დ. ჭითანავა, ჯამბურია, კუტალია, კ. გოგენია (სართანია 70), ო. ფიფია, სამსეიშვილი, წულაია (ლომაია 46), ღლონტი (პაპავა 70)

სათადარიგონი: ლ. ჭითანავა, ლეფსაია, კვირკველია, გაგუა

მწვრთნელი: ლევან ნოდია

ზესტაფონი 2: ჯალაღონია, სანტოსი, ბუკია, გელაჭეიშვილი, გაბრიჩიძე, საცერაძე, კამლაძე, ლაბაძე, სოფრომაძე (დ. ჯანელიძე 74), ხიხაძე, ფონატასი

სათადარიგონი: ო. ბოჭორიშვილი, ბერძენაძე, ცხადაძე, გორგიაშვილი, სურმავა, ნებიერიძე

მწვრთნელი: მალხაზ ღონღლაძე

გაფრთხილება: ფონატასი, სანტოსი, საცერაძე, გაბრიჩიძე

მსაჯი: პ. დოგრაშვილი

2 000 მაყურებელი

მეშახტე 1:0 კოლხეთი

1:0 ავალიშვილი (84)

მეშახტე: გიორგაძე, დონაძე, წერეთელი (ცქიფურიშვილი 46; ჭელიშვილი 89), მ. ბოჭორიშვილი, ყურაშვილი, ჩუბინიძე, ჯიშიაშვილი, ხაჩიძე, მაჩალაძე, გ. კირკიტაძე, ავალიშვილი

სათადარიგონი: თორთლაძე, მერკვილაძე, თევზაძე, გ. გვენეტაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

კოლხეთი: ჩემია, დ. ნარსია, გ. სიჭინავა, ცხვიტარია, ლუსტა, კილასონია, გოგნაძე, გვიჩია (გახარია 46), აბურჯანია, მეგრელიშვილი (გოგონაია 25), ხიზანიშვილი

სათადარიგონი: მანაგაძე, ყურუა

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: გოგნაძე, კილასონია, ბოჭორიშვილი, კირკიტაძე

მსაჯი: ხ. გაგნიძე

200 მაყურებელი

ტორპედო 0:2 სამტრედია

0:1 კრავეიშვილი (60), 0:2 ჩომახიძე (89)

ტორპედო: დ. მემარნიშვილი, ხარებავა (გ. გურეშიძე 56), ნუცუბიძე, ვ. ვაჩიბერაძე, ჭანკვეტაძე, ლ. კირკიტაძე, თვალავაძე, ბ. ჩხეტიანი (გოდერიძე 46), კილაძე, კეჭეყმაძე, სირაძე (ქიმუცაძე 60)

სათადარიგონი: გიორგობიანი, ქათამაძე, ჭყონია, დათიაშვილი

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

სამტრედია: ხურციძე, გოგია, კვესელიშვილი, გუბელაძე (ადეიშვილი 82), ქობალია (რუხაძე 68), ჩომახიძე, გაბედავა, ა. ივეჩიანი, ეცადეიშვილი, კრავეიშვილი (ბოხუა 90), ბაკარანძე

სათადარიგონი: ამაღლობელი, სუნიაევი, მამულაშვილი, გ. გიორგაძე

მწვრთნელი: ბადრი ქორიძე

გაფრთხილება: ეცადეიშვილი, კეჭეყმაძე, ნუცუბიძე, გურეშიძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

100 მაყურებელი

მაღაროელი 1:0 უნივერსიტეტი

1:0 მდივნიშვილი (76)

მაღაროელი: დოღაძე, გ. ბრეგვაძე, ეგაძე, შუკაკიძე, ბიბილაშვილი (ზ. ხაჭიპერაძე 46), გ. ილურიძე, ჩხარტიშვილი, გამცემლიძე, სეფერთელაძე (ი. ტყეებუჩავა 55), სევასტოპულო, მდივნიშვილი

სათადარიგონი: მამარდაშვილი, გაფრინდაშვილი, ცუცქირიძე, ჯაჯანიძე, მიშველიძე

მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

უნივერსიტეტი: კუჭუხიძე, ტორაძე (დვალიშვილი 84), წიქორიძე, დარჯანია, შველიძე, მორჩილაძე, ჭოლოშვილი (ავირიკაშვილი 80), ბასლაია, ქაშიბაძე, ბოდოკია, კუბლაშვილი (გ. ქორიძე 84)

სათადარიგო: მეფარიშვილი

მწვრთნელი: ედუარდ შავგულიძე

გაფრთხილება: წიქორიძე, ქაშიბაძე

მსაჯი: ი. ურუშაძე

100 მაყურებელი

ფაზისი 0:3 მერანი (მ)

მაღაროელი	24	19	3	2	49:17	60
მეშახტე	24	13	2	9	37:34	41
მერანი (მ)	24	12	5	7	32:20	41
ზესტაფონი 2	24	12	3	9	39:24	39
ხობი	24	9	7	8	33:25	34
ტორპედო	24	9	6	9	33:30	33
კოლხეთი	24	8	7	9	29:33	31
სამტრედია	24	8	4	12	32:46	28
უნივერსიტეტი	24	7	3	14	19:27	24
ფაზისი	24	2	2	20	17:64	8

„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან

XXV ტური

4 მაისი, კვირა

მერანი (მ) – ხობი

კოლხეთი – ტორპედო

უნივერსიტეტი – მეშახტე

ზესტაფონი 2 – მაღაროელი

სამტრედია – ფაზისი

VEGA SLOT POKER CLUB

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

ჩელსი — ლივერპული (1:1)
სავარაუდო შემადგენლობები

ჩელსი: ჩეხი; ესიენი, კარვალიუ, ტერი, ე. კოული; ბალაკი, მაკელელე, ლამპარდი; ჯ. კოული, დროგბა, კალუ
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
ლივერპული: რეინა; არბელოა, კარაგერი, შკრტელი, რიისე; ჯერარდი, მასკერანო, ხაბი ალონსო, ბაბელი; კუიტი, ფ. ტორესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

ლივერპული შეირუს ეძებს
ბენიტესმა მსაჯს თაღლითი დაანახა

„**ლივერპულს**“ რაფაელ ბენიტესის ხელში „სტემფორდ ბრიჯზე“ რვა შეხვედრაში გოლი არ გაუტანია და ტრადიცია დღესაც თუ არ დაირღვა, „ჩელსი“ პირველად გავა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

გარდა ამისა, ლიგაში ჩელსელთა საშინაო წაუგებელმა სერიამ 11 მატჩს უწია: ლონდონელები ბოლოს 2006-ში, „ბარსელონასთან“ დამარცხდნენ, თერთმეტიდან კი რვა მოიგეს და სამი ფრედ დაასრულეს.

პრემიერლიგის პირველ წრეში გუნდებმა „ენფილდ როუდზე“ 1:1 ითამაშეს, ხოლო ლონდონში უგოლოდ გაიყარნენ. დეკემბერში ინგლისის ლიგის თასზეც შეხვდნენ ერთმანეთს და ავრაამ გრანტის გუნდმა შინ 2:0 მოიგო.

ბოლო ლივერპულელი, ვინც „სტემფორდ ბრიჯზე“ (2004 წლის 7 იანვარს) გაიტანა, ბრუნო შეირუა.

1965 წლის შემდეგ „წითლები“ ჩემიონთა ლიგის ნახევარფინალში შვიდჯერ იყვნენ და მუდამ ფინალში გადიოდნენ, აქედან ორჯერ (2005, 2007) გზიდან სწორედ „ჩელსი“ ჩამოიშორეს.

„ჩელსი“ ნაევარფინალში მესამედაა და „ლივერპულთან“ ზემოხსენებული შეხვედრების გარდა 2004-ში „მონაკოსთან“ დამარცხდა, როცა გუნდს კლაუდიო რანიერი თავკაცობდა.

დღევანდელი მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო 1:1 თუ დასრულდა, პენალტები დაინიშნება, პენალტებში კი „ლივერპული“ არასოდეს დამარცხებულა.

„ჩელსიმ“ შაბათს შინ „მანჩესტერი“ 2:1 დაამარცხა და ძვლების ჭახაჭუხში მასპინძელი ფეხბურთელები ტრავმებს გადაურჩნენ.

ერთი ეგაა, დედაგარდაცვლილი ფრენკ ლამპარდის თამაშია საეჭვო.

ლამპარდს კვირა საღამოს ცალკე უვარჯიშია, ორშაბათიდან კი გუნდს შეუერთდა, მაგრამ ავრაამ გრანტი გადაწყვეტს, იქნება თუ არა ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში.

პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე მოყუჩებული „ლივერპული“ სტუმრად „ბირმინგემს“ 2:2 დაუზავდა. მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ კრაუჩმა და ბენაიუნმა გაათანაბრეს. რაფაელ ბენიტესმა ჯეიმი კარაგერი, ხავიერ მასკერანო, ხაბი ალონსო, სტივენ ჯერარდი, დირკ კუიტი, რაიან ბაბელი და ფერნანდო ტორესი „ჩელსისთან“ ბრძოლის წინ დაასვენა. ფაბიო აურელიო ტრავმირებულია და გუნდს ვერ დაეხმარება.

„ლივერპულის“ თავკაცმა, რომელიც პირველ მატჩში მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა, განაცხადა: „არბიტრმა დიდიე დროგბას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. „ჩელსის“ 19-ჯერ შევხვდით


დროგბა-ბალაკი: „ლივერპულისთვის“ განსაკუთრებით სახიფათო წყვილი

და ამ ფორვარდზე ბევრი რამ ვიცი. ხშირად თაღლითობს და ცდილობს, რომ მსაჯს პენალტი გამოსტყუოს. ასე იყო „ენფილდზე“, მაგრამ კონრად პლაუცი რატომღაც ვერ ამჩნევდა. ვიმედოვნებ, რომ ამჯერად არბიტრს არაფერი გამორჩება“.

შაბათს „მანჩესტერთან“ დუბლის შემსრულებელი მიხაელ ბალაკი „ლივერპულს“ ემუქრება: „პრემიერლიგის მოგების და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლის შანსი გვაქვს. თავადაც გვსურდა, რომ ასე ყოფილიყო და კიდეც გვსიამოვნებს ასეთი დაძაბული ვითარება. ჩემი აზრით, „ჩელსი“ დანარჩენ მეოთხედფინალისტებზე ოდნავ უკეთესი გუნდია. დაღლა არ გვეტყობა და ეს „მანჩესტერთანაც“ გამოჩნდა. შაბათის მატჩში და განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ამ სეზონში ალბათ საუკეთესო ფეხბურთი ვითამაშეთ მოკლე პასები კარგად გამოგვდიოდა და აღარ იყო ადრინდელივით, გამუდმებით დროგბას რომ ვაწვდიდით. თან ამას ძალიან სწრაფად ვაკეთებდით. საუცხოო ფომაში ვართ და დარწმუნებული ვარ, „ლივერპულსაც“ გავუმკლავდებით“.

ვაჟა ხუციშვილი

მანჩესტერიჰააა!

სეზონი რომ ჩამთავრდება, სვენ-გორან ენრიკსონს „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელის თანამდებობიდან გადააყენებენ. მიზეზი: შვედს კლუბის მეპატრონე თაქსინ შინავატრასთან კონფლიქტი მოუვიდა.

ეს ორი ადამიანი კვირას შეხვდა ერთმანეთს. შეხვედრიდან ერიკსონი დაზაფრული გამოვიდა, „ქერინგტონ ტრეინინგ კომპლექსში“ თანამშრომელთა კრება მოიწვია და გულის ნადები ამოიღო. ერთ-ერთმა დამსწრემ „სანის“ ჟურნალისტებს უამბო:

„სვენსა და მეპატრონეს შორის მეტად უსიამოვნო შეხვედრა გამართულა. საქმე ის არის, რომ შინავატრას ყველაფრის გაკონტროლება სურს, სვენს კი ასე მუშაობა არ შეუძლია“.

როგორც გაირკვა, ჩვეულებრივ მშვიდი ერიქსონი შინავატრას წაკიდებია. მას უთქვამს, რომ მეპატრონეს არანაირი უფლება არ ჰქონდა, მისი გუნდის თამაში საჯაროდ ეკრიტიკებინა, ხოლო პირადად მისი შესაძლებლობები ეჭვქვეშ დაეყენებინა. ერიკსონმა ტაილანდის ყოფილ პრემიერს პირში მიახალა, რომ მისი ქცევა უპატივცემულობა იყო, ხოლო საჯარო განქიქების ნაცვლად შინავატრა მას პირადად რომ შეხვედროდა, სალაპარაკო და საპრობლემო აღარაფერი იქნებოდა.

ცნობისათვის: ერიკსონს კონტრაქტში უწერია, რომ ფეხბურთელების ყიდვა-გაშვება მისი გადასაწყვეტია, შინავატრას კი ეს პუნქტი არ მოსწონს და მისი გადაკეთება სურს.

შეგახსენებთ, რომ სვენ-გორან ერიკსონმა გასული წლის ივლისში „მანჩესტერ სიტისთან“ სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ამ ხელშეკრულების თანახმად, შვედის წლიური გასამრჯელო 2,5 მილიონი გირვანქა გახლდათ.

კრების დამსწრე: „საჯარო თავდასხმებმა სვენი მეტისმეტად გააბრაზა და კრებაზე თავისი გრძნობები აღარ დაუმალავს. ერიკსონი მოთმინებას მეტისმეტად იშვიათად კარგავს და ასეთი ადამიანის ამ მდგომარეობაში ნახვა მეტად მძიმე გახლდათ. შინავატრა ფიქრობს, რომ მწვრთნელმა მისი ყველა სურვილი უნდა აასრულოს და თუკი, მაგალითად, ის იტყვის, რომ ესა და ეს მოთამაშე გუნდში უნდა მოხვდეს, ესე იგი, ასეც უნდა მოხდეს. ამას სვენი, ბუნებრივია, ვერ შეეგუებოდა. და განა რომელი მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი შეეგუებოდა ამას?“

რამდენადაც ცნობილია, ტაილანდის ყოფილ პრემიერს სვენ-გორან ერიკსონის ნაცვლად ინგლისს გარედან სურს ცნობილი სპეციალისტის მიწვევა, თუმცა ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცის გაშვებას „სიტის“ ფანები მაინც და მაინც არ მიესალმებიან.

როგორც ამბობენ, „მანჩესტერ სიტის“ წამყვან ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი მწვრთნელის დასაცავად ხმის ამაღლებას აპირებს.

„ყველა დაზაფრული გახლდათ. მოთამაშეებს სვენის მეთოდი მოსწონთ და მასთან უნდათ მუშაობის გაგრძელება. საკმაოდ კარგი სეზონის ბოლოს მწვრთნელის გამოცვლაც სასაცილო ნაბიჯი იქნება“.

პაპუნა ძიძია

სვენ-გორან ერიქსონი და ტაქსინ შინავატრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასაფრებული მკრეჭავები

რას არ გაიგებ კაცი! აი, მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ „ჩელსიმ“ და მისმა... გაზონის მკრეჭავებმა შაბათ საღამოს ბინტურ ხერხებს მიმართეს. მაგარია, არა? შეგახსენებთ, რომ შაბათს, ლონდონში „ლურჯებმა“ მანჩესტერელებს უმასპინძლეს და 2:1 მოუგეს. შეხვედრა გვარიანად დაძაბული გახლდათ, თუმცა ფეხბურთის გარდა მაყურებელმა ჩხუბიც ნახა და სწორედ ამაზეა ლაპარაკი.

სერ ალექსი: „რატომ შევიდნენ გაზონის მკრეჭავები მოედანზე თამაშის შემდეგ? განა მათ შეხვედრის დაწყებამდე არ უნდა გაეკრიჭათ „სტემფორდ ბრიჯის“ ბალახი? ნეტავ, ვინმე გასცემს ამ კითხვაზე პასუხს?“

ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, რომ ასოციაციას ამ კითხვის გარეშეც მოუწევდა გამოძიება, რადგან შაბათს მეტოქეებმა ბევრი უსიამოვნო და სპორტულ სულისკვეთებას მოკლებული სცენა შემოგვთავაზეს, მაგრამ ფერგიუსონის დასმულმა კითხვამ ყველაფერი „გაალამაზა“.

„ჩვენ ფეხბურთის ასოციაციას ოფიციალური განცხადებით მივმართავთ და გამოძიებასაც მოვითხოვთ“ — დასძინა სერ ალექსმა, თუმცა საბოლოოდ მაინც ყველაფერი ბუნდოვანია, თავად ფერგიუსონის კითხვის ჩათვლით.

დიახ, ბატონო, არ არის გამორიცხული, რომ ჩხუბის მიზეზი სწორედ ერთ-ერთი გაზონის მკრეჭავი გახლდათ, რომელმაც თითქოსდა, პატრის ევრას რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა, მაგრამ ნუთუ სერ ალექსი იმის დამტკიცებას ლამობს, რომ „ჩელსის“ დირექტორატმა გაზონის თამაშის წინ კი არა, მისი დამთავრების შემდეგ გაკრეჭვა გინებისთვის მოიგონა? ამასთან, საინტერესოა, რომ ფერგიუსონმა ჩხუბში მონაწილეობისთვის თავისი ბიჭები არ დაგმო:

„მე მათ „მანჩესტერ იუნაიტედის“ სახელით თამაშს ვანდობ! ბედნიერი მწვრთნელი გახლავართ, ასეთი ხასიათის ადამიანებთან რომ მაქვს ურთიერთობა“.

პაპუნა კვიდა

ბოლოს საკმაში სერ ბობი ჩარლტონიც (მარცხნივ) ჩაერია

მადონინას მოლოდინში

რობერტო მანჩინი

4 მაისს მორიგი „დერბი დელა მადონინაა“ და უკვე რა ხანია, ამ მატჩისთვის მზადება და მასზე საუბარი დაიწყო. „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ამბობს, ეს თამაში მთლად ჩემპიონთა ლიგის ფინალი არ არის, მაგრამ ჰგავსო. „ინტერის“ პრეზიდენტის მასიმო მორატის აზრით კი, მილანური დერბი, რაღაცით ჩემპიონთა ლიგის ფინალზე მეტიც კია...

„სერია A-ში „ინტერსა“ და „მილანს“ შორის სხვაობა 23 ქულაა. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ რეალურად ჩვენს შორის ასეთი სხვაობა რომ არ არის, ყველამ კარგად იცის. ლოგიკურია, რომ „ნერაძურის“ სკუდეტოს განაღდება რაც შეიძლება მალე უნდა, რადგან ფეხბურთი მოულოდნელობებითაა სავსე. თუმცა ბრძოლისთვის ჩვენც მზად ვართ, შეცდომის უფლება არ გვაქვს, უეფას თასზე თამაშს ოთხეულში მოხვედრა გვირჩევნია. „დერბი დელა მადონინა“ არ არის ჩემპიონთა ლიგის ფინალი, მაგრამ ძალიან ჰგავს თავისი დაძაბულობითა და მნიშვნელობით“ — განმარტა ანჩელოტიმ.

„როსონერის“ თავკაცმა ბრწყინვალე ფორმაში მყოფ ფილიპო ინძაგიზეც ილაპარაკა: „სუპერპიპოს“ რენესანსს ველოდი. რთული პერიოდის მერე, როგორც კი პირველი გოლი გაიტანა, ვეღარ აჩერებენ. ინძაგი სამაგალითო მოთამაშეა და ყოველთვის იცის, ფორმაშია თუ არა. სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ მერე ტრავმამ შეუშალა ხელი და, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდამდე გვაკლდა“.

ზაფხულში „მილანში“ რამდენიმე ცვლილება იგეგმება. საუბრობენ რონალდინიოს და სხვა ფეხბურთელების შესაძლო ტრანსფერებზე. კარლეტომ კომენტარი ამაზეც გააკეთა.

„ფეხბურთელი, რომელიც მე არ მინდოდა, გუნდში არასდროს მოსულა და არც ჩემი სურვილი მომიხვევია ვინმესთვის თავს. მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის თანხმობა უნდა იყოს. გამიხარდა, როცა რონალდინიოს შესაძლო ტრანსფერის შესახებ გავიგე. ის გამთამაშებლისა და ფორვარდის ნაზავია, რაც ტაქტიკის თავისუფლად გადაწყობის საშუალებას იძლევა. ვფიქრობ, მას ჩვენს სათამაშო სქემებთან შეგუება არ გაუჭირდება“ — დასძინა ანჩელოტიმ.

ბოლოს კი მასიმო მორატისაც მოვუსმინოთ: „სიმართლე რომ ვთქვათ, ეს მატჩი ბევრისთვის ჩემპიონთა ლიგის ფინალზე მეტად ფასობს. „ინტერისთვისაც“ და „მილანისთვისაც“ „მადონინა“ უაღრესად მნიშვნელოვანია. ზოგადად, ყველა დერბი განსაკუთრებულია. ფანები მოუთმენლად ემზადებიან მატჩისთვის. ცხადია, მოსაგებად ვითამაშებთ და ეგებ, გამარჯვებამ სკუდეტო გაგვინაღდოს. მჯერა, დარჩენილ შეხვედრებში ბიჭები ბოლომდე დაიხარჯებიან“.

ძოკი ანდელაძი

ვალენსიასთვის ჭაღარა სიცოცხლესაც არ დაიშურებს

სანტიაგო კანისარესი რონალდ კუმანის მწვრთნელობის პერიოდში „ვალენსიადან“ დაითხოვეს, თუმცა „ღამურათა“ დამრიგებლად ვოროს მოსვლის შემდეგ ვეტერანი „ჭაღარა“ კვლავ „მესტალიას“ გუნდის კარის მცველად იქცა. „იგი პრესკონფერენციათა დარბაზში მშრალად მოწყობილ გამოსათხოვარ საღამოზე გაცილებით მეტს იმსახურებდა“ — წერს კანისარესზე მადრიდული „ასი“. კლუბში დაბრუნებულმა მეკარემ კი ჟურნალისტებთან აღნიშნა, სანამ შემეძლება, „ვალენსიას“ იქამდე დავეხმარები, წასვლით კი უხმაუროდ, ყოველგვარი შეკითხვებისა თუ აყალმაყალის გარეშე წავალო

— ბედნიერი ხართ?

— დიახ, ახლა ყველაფერი კარგად მიდის. კმაყოფილი ვარ, რადგანაც მაშინ, როცა ამას არავინ ელოდებოდა, კლუბისთვის, რომელსაც ამდენი წელიწადი შევალიე, კვლავ საჭირო გამოვდექი. რახან ჩემი და „ვალენსიას“ გზები კვლავ გადაიკვეთა, ვეცდები, ეს ურთიერთობა ძველებურად, ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობად ვაქციო.

— 39 წლის ხართ და ამ ასაკში ძირითადში ბურთაობა ყოველთვის გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდება. „ოსასუნასთან“ მატჩში რამე განსაკუთრებული იგრძენით?

— უცნაური შეგრძნება მქონდა... ბოლოს და ბოლოს, ოთხი თვე ვიყავი უკლუბოდ და მეგონა, რომ ფეხბურთს უკვე აღარასოდეს დავუბრუნდებოდი. რადგან ნავარელებთან კარგად ვითამაშეთ, ჩემს „სადებიუტო“ მატჩზეც ცუდი არაფერი მეთქმის. ისე, „ვალენსიაში“ ყოველ ჩემს მატჩს, როგორც უკანასკნელს, ისე ვუყურებ.

— როგორც უკანასკნელს? მგონი, არ გეჯერათ, რომ რონალდ კუმანის კლუბიდან წასვლა თქვენს ვალენსიურ მომავალზე სასიკეთოდ იმოქმედებს — კონტრაქტით ამ გუნდთან კიდევ ერთი წლით გიწევთ თანამშრომლობა...

— ეს ფორმალურად, თორემ საამსეზონოდ კლუბიდან ჩემი წასვლის ამბავი ალბათ უკვე გადაწყვეტილია. ბოლოს დავსხდებით და „ვალენსიას“ უფროსობასთან ერთად, კონტრაქტის შეწყვეტის დეტალებზე მოვითათბირებთ.

— კლუბიდან დათხოვნაზე ისე დარწმუნებით საუბრობთ, თითქოს ეს უკვე ოფიციალურად იყოს გადაწყვეტილი...

— ერთი რამ ჩემთვის ცხადია — მათ სამომავლოზონო გეგმებში აღარ შევდივარ, ხოლო იქ, სადაც არ ვუნდივარ, დარჩენას არავის შევეხვეწები. აი, „ვალენსიას“ თავკაცობამ კანისარესის მიმართ თავისი დამოკიდებულება რომ შეცვალოს, კვლავაც დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი „მესტალიაზე“. თუმცა, როგორც გითხარით, ჩემი დათხოვნა გადაწყვეტილი ამბავია და თუ ეს ოფიციალურად არ არის გაფორმებული, იმიტომ, რომ საამისო მომენტი არ დამდგარა.

— ოთხთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ „ვალენსიადან“ თქვენი ჩამოშორების მოთავედ ვის დაასახელებდით? ამაში ბრალი მარტო რონალდ კუმანს მიუძღვის?

— აქ ბევრი წინააღმდეგობა იქმნება. ერთი მხრივ, გუნდიდან ფეხბურთელების დათხოვნაზე პასუხისმგებლობა კუმანმა იკისრა და „ვალენსიას“ უფროსებიც გვეუბნებოდნენ, მაგ ამბავში გადამწყვეტი სიტყვა მწვრთნელს ეკუთვნისო. თუმც კუმანი უკვე წასული იყო, კლუბის ახალმა ტექნიკურმა დირექტორმა ხუან სანჩესმა რომ გვითხრა: „ბიჭებო, იქნებ, საერთო საქმისთვის, სეზონის ბოლოს „მესტალიადან“ თქვენი დათხოვნა ჯობდეს“.

— „ვალენსიას“ შემდეგ საერთოდ დაასრულებთ კარიერას, თუ ახალ გუნდს გამოძებნით?

— „მესტალიას“ ხალხთან კონტრაქტის გადაწყვეტამდე სამომავლო გეგმებზე ფიქრი სისულელე იქნება.

— და კლუბმა თუ ადმინისტრაციაში საპასუხისმგებლო სამუშაო შემოგთავაზათ, არ დათანხმდებით?

— უარს ვიტყვი. შეურაცხყოფის მიყენება არავისთვის მინდა, მაგრამ „ვალენსიას“ ამჟამინდელ უფროსებთან ერთ მმართველ გუნდში ყოფნა ჩემს ცხოვრებისეულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. „მესტალიაზე“ არსებული აბურდულ-დაბურდული სიტუაცია ძალიან არ მომწონს.

— ისევ „ოსასუნასთან“ მატჩს დავუბრუნდეთ. მოულოდნელად, ვორომ ძირითადში თქვენი დაყენება გადაწყვიტა...

— მე და მწვრთნელმა ერთმანეთს ვაუკაცურად ჩავხედეთ თვალებში და ალალად ვისაუბრეთ. ვიცი, რომ 39 წლის ვარ, თან 4 თვეც გამიცდა და ახლა დიდ ფეხბურთში ჩემი დაბრუნება მცირედით ზღაპარსაც წააგავს, თუმც „ვალენსია“ ჩემი მეორე ოჯახია. ეს გუნდი ფანატიკურად მიყვარს და ვოროსაც ვუთხარი, როგორც ყოველთვის, მზად ვარ, „ვალენსიას“ ვემსახურო-მეთქი. თან ახლანდელ სამწვრთნელო შტაბთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა მაქვს, ვორომ და ბიჭებმა დახმარება კი არა, სიცოცხლე რომ მთხოვონ, არ დავფიქრდებით, ისე გავიმეტებ.

— ინჩასებს რას ეტყოდით?

— მინდა, მხარდაჭერისთვის ყველას დიდი მადლობა ვუთხრა. შეუდარებელი შეგრძნება იყო, როცა „ოსასუნასთან“ სათამაშოდ მოედანზე შევედი და ხალხი აპლოდისმენტებით შემეგება. „მესტალია“ მუდამ ჩემს მხარეს იყო და იქნება კიდეც...

დონადონის პრობლემები, ბორიელის ოცნებები

როგორც ჩანს, იტალიური პრესისა და ტიფოზების ზეწოლამ, პლუს ალესანდრო დელ პიეროს ბრწყინვალე თამაშმა თავისი შედეგი გამოიღო. „სკუადრა აძურას“ მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ „ლა რეპუბლიკასთან“ საუბარში განაცხადა, თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, რომ „პინტურიკიოს“ ევრო 2008-ზე წავიყვანო.

„რამდენიმე თვის წინ დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ ახლა გეტყვით, რომ დელ პიეროს გამოძახებას ვაპირებ. ალექსი ჩინებულ ფორმაშია. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებაზე და ნაკრების შემადგენლობაზე მხოლოდ დათქმულ დროს ვისაუბრებ. როგორც ჩანს, ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს, ბევრი პრობლემა შემიქმნან, რადგან ძალიან ფართო არჩევანის წინაშე ვარ. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ დელ პიეროს და სხვა შემთხვევებშიც გადაწყვეტილება მხოლოდ ჩემს მიერ იქნება მიღებული და მასზე გავლენას ვერაფერი მოახდენს. ჩვენ ცივილიზებული ხალხი ვართ“ — აღნიშნა დონადონიმ.

ყველაზე გვიან ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელთა სიის დასახელება 28 მაისს შეიძლება. დარჩენილ დროში დონადონის გულის მოგებას ბევრი ფეხბურთელი ეცდება. ერთ-ერთი მათგანი ჯენოელი მარკო ბორიელოა, ვინც 19 გოლით დავიდ ტრეზეგესთან ერთად სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირთა (დელ პიეროს 18 აქვს გატანილი).

„სამი ტურია დარჩენილი და ტრეზეგესთან ერთად ყველაზე მეტი გოლი მაქვს გატანილი. ასე რომ, ცხადია, ბომბარდირობაზე ვფიქრობ. იმედია, დარჩენილ მატჩებში კიდევ გავიტან გოლებს და ევრო 2008-ზე მოვხვდები. ვთვლი თუ არა დელ პიეროს კონკურენტად და ვარ თუ არა მისი წინააღმდეგი? ალექსი ბრწყინვალე სეზონს ატარებს და ნაკრებში გამოძახებას იმსახურებს იმის გამო, რასაც აკეთებს და რაც ზოგადად გაუკეთებია იტალიისთვის. რაც შეეხება მომავალ სეზონს, „ჯენოაში“ დარჩენა მინდა, აქ თავს კარგად ვგრძნობ და განვითარების საშუალება მაქვს. თუმც თუ დიდი კლუბისგან საინტერესო წინადადებას მივიღებ, დავფიქრდები. როგორც ექსმილანელი, „დერბი დელა მადონინაში“ „როსონერისკენ“ ვიქნები. თუმცა არა მგონია, დარჩენილ სამ ტურში „ინტერმა“ სკუდეტო დაკარგოს, ექვსქულიანი სხვაობა დიდი უპირატესობაა“ — თქვა 25 წლის ბორიელომ.

გიორგი ძაძაგაძე

ალდო სპინელი და ფერნანდო ორსი

ლივორნოში ორსი დაბრუნდა

იტალიური „ლივორნოს“ პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ჯანკარლო კამოლეზე დაითხოვა და გუნდში ფერნანდო ორსი დაბრუნა.

ორსი პირველი მწვრთნელი გახლდათ, რომელმაც მიმდინარე სერია A-ში პოსტი დაკარგა. იგი ოქტომბერში, ჩემპიონატის ცუდად დაწყებისთვის მოხსნეს. ტოსკანელთა სათავეში კამოლეზეს მოსვლამ თითქოს დადებითად იმოქმედა, მან ვითარება გამოასწორა და გუნდი კარგად აათამაშა, მაგრამ...

მეორე წრეში „ლივორნო“ საშინლად თამაშობს, გუნდმა მხოლოდ 8 ქულა მოიპოვა და დღეს გავარდნის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია. გასულ უქმეებზე „მილანთან“ შინ წაგებული 1:4 ექსცენტრული სპინელისთვის ბოლო წვეთი იყო, მან კამოლეზე მყისვე დაითხოვა.

ნანდო ორსის არცთუ იოლი ამოცანასთან მოუწევს შეჭიდება — დარჩენილ სამ მატჩში „ატალანტასთან“, „ტოროსოსა“ და „ემპოლისთან“ ქულების მაქსიმუმი უნდა მოიპოვოს, რათა „ლივორნო“ გავარდნას გადაარჩინოს.

შეგახსენებთ, რომ სპინელი, რომელსაც მწვრთნელებთან ყოველთვის რთული ურთიერთობა ჰქონდა, ზაფხულში კლუბის გაყიდვას აპირებს.

კოკი კანდელაკი

ყველაფერში დამნაშავე მატიე ფლამინია

„მილანს“ და „იუვენტუსს“ ერთმანეთთან ტკბილი ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ. თუმცა ბოლო დროს მათ შორის მწარე კომენტარების გაცვლა-გამოცვლა არ ყოფილა, სანამ ტურინელთა გენერალურ მენეჯერ ჟან-კლოდ ბლანს ერთ-ერთი ჟურნალისტი მატიე ფლამინიზე არ დაუსვამდა კითხვას...

საქმე ის არის, რომ „არსენალის“ ფრანგ ნახევარმცველს „მეთოფეებთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. სხვა მრავალ კლუბთან ერთად კი, ხელში მის ჩასაგდებად „იუვენტუსი“ და „მილანიც“ იბრძვიან.

მავანმა ჟურნალისტმა „ბიანკონერის“ გენერალურ მენეჯერს ჰკითხა, რატომ უნდა გადაწყვიტოს ფლამინიმ თქვენთან და არა „როსონერიში“ გადმოსვლაო. ბლანის პასუხი ასეთი იყო: „იუვე“ ჩემპიონთა ლიგაშია, „მილანი კი არა“.

არ დააყოვნა „როსონერის“ ვიცეპრეზიდენტის ადრიანო გალიანის კომენტარმაც: „მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მომგები გუნდი სერია A-ში ახლად აღზევებული „იუვენტუსისთვის“ პასუხის გაცემაზე დროს არ დახარჯავს“.

არადა, კალჩოპოლის სკანდალის, ანუ 2006 წლის ზაფხულის მერე, როცა ორივე ეს კლუბი დაისაჯა, ისინი ერთმანეთზე ცუდ და მწარე კომენტარებს არ აკეთებდნენ, მაგრამ ფლამინის ტრანსფერზე საუბარმა და ფიქრმა მათ შორის ვითარება ისევ დაძაბა.

გიორგი კაკაბაძე

ჯოვანი — ქრისტეს ათლეტობიდან მღვდლობამდე

ექსბარსელონელი ჯოვანი მანჩესტერში ბაპტისტი პასტორი გამხდარა. აბა, ღრმად მორწმუნე კაცს სხვა რაღა უნდა ექნა, როცა „მანჩესტერ სიტის“ განაცხადშიც კი ველარ ხვდებოდა (არადა, თავიდან ჯოვანი ამ გუნდის ძირითადის უცვლელი წევრი იყო)? ჰოდა, ბრაზილიელმა ინგლისში თავისი მრევლი გაიჩინა და ბაპტისტთა შორის დიდი პატივისცემაც მოიხვეჭა.

ჯოვანი „კამპ ნოუზე“ 2001-ში, სხვა ახალწვეულებთან, როშემბაკთან, სავიოლასთან, ბონანოსა და კრისტანვალთან ერთად გამოჩნდა და პრეზენტაციაზე Atleta de Cristo („ქრისტეს ათლეტი“) ვარო, გამოაცხადა. „ბარსელონას“ მაშინდელ პრეზიდენტს, გასპარს, ხსენებულ ფეხბურთელთა გუნდში მოყვანით მაშინდელი რთული კრიზისის დაძლევა სურდა, თუმცა კატალონიურმა გრანდმა მაინც კარგა ხანი იწვალა, ჯოვანიმ კი ახალი პრეზიდენტის, ლაპორტას მოსვლის შემდეგ თავი „ბენფიკაში“ ამოყო. 2008 წლის ზაფხულში „ბენფიკას“ „სიტი“ ჩაენაცვლა, დანარჩენი კი უკვე ცნობილია — დღეს ჯოვანი დეიბერსონი მოედანზე ბურთის გორებას ეკლესიაში ქადაგებას ამჯობინებს.

ლადო ხომერიკი

რონალდოს დაბნეული ორშაბათი

ნომერში აყვანილი ქალები კაცები აღმოჩნდნენ

ესლა აკლდა რონალდოს — ტრავმისგან დადაღული და ბრაზილიაში სამკურნალოდ ჩასული სახელგანთქმული კაცი ორშაბათს ტრანსვესტიტებთან სექსუალური სკანდალის მთავარმონაწილე გახდა და მისი სახელიც იქაურმა გაზეთებმა თუ ტელევიზიამ ფრიად არასასურველ კონტექსტში მილიონჯერ წალმა-უკულმა დაატრიალა...

რიო დე ჟანეიროს პოლიციამ საქმის გამოძიება გადაწყვიტა, ვერაგმა ტრანსვესტიტებმა ფეხბურთელს დიდძალი თანხის გამოძალვა დაუპირისპირეს — აქაოდა, თუ არ გადაგვიხდი, ნარკოტიკებისადმი და საეჭვო გართობისადმი შენს სწრაფვას საქვეყნოდ გამოვაჭენებთო.

საქმე ის გახლავთ, რომ მუხლის ტკივილით გატანჯულმა რონალდომ ორშაბათს გამთენიისას გართობა გადაწყვიტა და თავის ნომერში მეძავი აიყვანა. მერე „კიჭას“, კომპანიის მრავალფეროვნებისთვის, ორი სხვა მსუბუქი ყოფაქცევის გოგონაც გამოუძახებია ტელეფონით, თუმცა... ამ ამბის მომსწრე სასტუმროს პერსონალი შემდეგ პოლიციაში ამტკიცებდა, რომ გაცოფებული ფეხბურთელი „გოგოებს“ საშინლად აგინებდა და უყვიროდა, წაეთრიეთო.

სამივე მეძავი ტრანსვესტიტი აღმოჩნდა, ამით იმედგაცრუებულ რონალდოს ორგია ჩაეშალა, ხოლო „დაქალებმა“ პოლიციაში დარეკეს — რონიმ გვაგინა და ფულიც არ გადაგვიხადაო.

კომისარიატში დაბარებულმა რონალდომ კი თქვა: „მიუხედავად ამ სულელური შეცდომისა, მე მათ 1000 რეალი (დაახლოებით 600 დოლარი) მაინც მივეცი, სიტყვის კაცი ვარ და რასაც ვამბობ, იმას ყოველთვის ვასრულებ კიდეც. თუმცა ანდრეამ თუ ვიღაც ჯანდაბაა (ანდრე ლუიშ რიბეირუ ალბერტინუ, იგივე ანდრეა, სამეულის ლიდერი) გაცილებით მეტი თანხა მომთხოვა და დამემუქრა, თუ არ გადაგვიხდი, ვიტყვით, რომ ჩვენთან ერთად ნარკოტიკებს ეძალებოდიო. ნარკოტიკებს არასოდეს არ გავკარებივარ და სასტუმროშიც აბსოლუტურად ფხიზელი ვიყავი... უბრალოდ, სურდათ, ჩემთვის ფული აეღლიტათ“.

ფეხბურთელის ვერსიით, რომელსაც პოლიციაც სინამდვილედ მიიჩნევს, ქალ-კაცთაგან ერთ-ერთი, შეცდომაში შეყვანილ ბრაზილიელს 50 ათას რეალს (დაახლოებით 30 ათას დოლარს) სძალავდა. „მადლობა სამართალდამცავებს, რომ საქმეს ნათელი დროულად მოჰფინეს — ასეთ სიტუაციაში ჩავარდნა ვის გაუხარდებოდა, თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობ“ — განაცხადა რონიმ.

ახლა „ჯანდაბა“ ანდრეასაც მოვუსმინოთ: „რონალდომ თავიდანვე მშვენივრად იცოდა, ვინც ვიყავით, ხოლო პირადად მე, სიუდად დე დიოსის საშინელ უბანში ნარკოტიკების საყიდლად გამაგზავნა, მითხრა, შენ მხოლოდ ჩემი სახელი ახსენე და ბუზსაც არავინ აგიფრენსო. რონალდოს მართვის მოწმობაც აქ მაქვს“.

რიოს ბარა დე ტიჟუკას პოლიციის კომისარმა კარლოს აუგუსტო ნოგეირამ კი პრესასთან აღნიშნა, არც რონალდოს მანქანაში და არც სასტუმროს ნომერში ნარკოტიკების კვალი არ აღმოჩნდა, ფეხბურთელი „სუფთა“ იყო და არათუ ნარკოტიკების, ალკოჰოლის ზემოქმედებაც არ ემჩნეოდაო.

„გამოძალვის ფაქტს კი უცილობლად დიდ ყურადღებას მივაქცევთ“ — მკაცრად განაცხადა სეუ ნოგეირამ.

ბრაზილიურმა გაზეთებმა სკანდალთან დაკავშირებით ირონიულად დაწერეს, „კიჭამ“ ევროპაში მუხლთან ერთად ალბათ მხედველობაც დაიზიანა, თორემ საქმეს აქამდე ნამდვილად არ მიიყვანდაო. ანდრეას „გოგოები“ კი კომისარიატის წინ ფოტორეპორტიორებთან კარგა ხანს პოზიორობდნენ, სანამ შენობიდან მავანი თანამშრომელი არ გამოვიდა და მეძავები იქაურობას არ მოაშორა.

ესეც ტრანსების სახელგანთქმულობის და რონალდოს დაბნეულობის ორშაბათი...

ლადო ხომერიკი

იტალიელთა იაფი რონალდინიო

„მილანს“ რონალდინიოს ყიდვა კი უნდა, მაგრამ ამისთვის ხაზინის დაცარიელებას სულაც არ აპირებს. სატრანსფერო საქმეებში ცნობილი შუამავალი ერნესტო ბრონძეტი რამდენიმე დღის წინ ბარსელონაში გახლდათ და რონალდინიოს ამჟამინდელი კლუბის ფინანსთა განმკარგავებს, მარკ ინგლას და ფერან სორიანოს განუცხადა, რომ გაუჩოს იტალიური ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ კატალონიელები „მილანის“ შემოთავაზებაზე დათანხმდებიან.

რონიზე „როსონერის“ თავდაპირველი იერიში 10 მილიონი ევროთი აღინიშნა, დღეს კი (კატალონიური „სპორტის“ ვერსიით) „მილანს“ ბრაზილიელის შესაძენად ბოლო ფასი, 15 მილიონი ევრო უთქვამს. ეს მაშინ, როცა „ბარსელონას“ სპორტული დირექტორი, ჩიკი ბეგირისტაინი რონალდინიოს გასხვისების მინიმალურ თანხად 50 მილიონს ასახელებს.

საბოლოო სიტყვა თავად ფეხბურთელზეა და რასაც გაუჩო სეზონის ბოლოს აირჩევს, საქმეც იმ მიმართულებით წარიმართება.

რონალდინიოს „მანჩესტერ სიტი“ და „ინტერიც“ ეპატიჟებიან, თუმცა ამბობენ, რომ ბრაზილიელი „ბარსას“ მხოლოდ „მილანის“ გულისთვის თუ დატოვებს.

ლადო ხომერიკი

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲘ

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		3 მაისი						
18:00	2	რედინგი-ტოტენჰემი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
18:00	4	ასტონ ვილა-უიგანი	1.50	3.80	7.00	1.07	1.23	2.46
18:00	5	ბლეკბერნი-დერბი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
20:15	6	ბოლტონი-სანდერლენდი	1.70	3.40	5.00	1.13	1.26	2.02
18:00	7	ფულჰემი-ბირმინგემი	2.30	3.20	3.00	1.33	1.30	1.54
15:45	9	მანჩესტერი-ვესტ ჰემი	1.20	5.50	16.00	1.00	1.11	4.09
18:00	11	მიდლსბრო-პორტსმუთი	2.05	3.20	3.50	1.24	1.29	1.67
		4 მაისი						
16:30	3	არსენალი-ევერტონი	1.60	3.40	5.30	1.08	1.22	2.07
19:00	8	ლივერპული-სიტი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
		5 მაისი						
19:00	12	ნიუკასლი-ჩელსი	6.00	3.50	1.60	2.21	1.26	1.09
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		4 მაისი						
17:00	15	საუთჰემპტონი-შეფილდი	2.30	3.40	2.80	1.37	1.26	1.53
17:00	16	სტოკი-ლესტერი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
17:00	17	ბლეკპული-უოტფორდი	2.85	3.10	2.35	1.48	1.28	1.33
17:00	18	ფულჰემპტონი-პლიმუთი	1.50	3.70	6.50	1.06	1.21	2.35
17:00	19	ბრისტოლი-პრესტონი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
17:00	20	კარდიფი-ბარნსლი	2.15	3.30	3.10	1.30	1.26	1.59
17:00	22	კრისტალ პალასი-ბარნლი	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
17:00	23	იფსვიჩი-ქალი	2.40	3.30	2.65	1.38	1.25	1.46
17:00	24	ჭარ-ვესტ ბრომვიჩი	3.40	3.30	2.00	1.67	1.25	1.24
17:00	25	სკანთორპი-კოლჩესტერი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
17:00	26	უენსდი-ნორვიჩი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
		ინგლისი. I ლიგა						
		3 მაისი						
18:00	27	საუთენდი-პორტ ვეილი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
18:00	28	სუინდონი-მილუოლი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
18:00	29	ბრაიტონი-სუონსი	2.45	3.30	2.60	1.40	1.26	1.45
18:00	30	უოლსოლი-ჰარტლპული	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
18:00	31	კარლაილი-ბორნმუთი	1.85	3.40	3.75	1.19	1.23	1.78
18:00	32	ჩელტენჰემ-დონკასტერი	3.00	3.30	2.15	1.57	1.25	1.30
18:00	33	ქრიუოლდემი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
18:00	34	ლიდსი-ჯილინგემი	2.00	3.30	3.50	1.24	1.27	1.69
18:00	35	ლეიტონი-როვერსი	2.15	3.30	3.10	1.30	1.26	1.59
18:00	36	ლუტონი-პადერსფილდი	2.50	3.30	2.60	1.42	1.27	1.45
18:00	37	ნორთჰემპტონი-ტრანმერი	2.25	3.30	2.85	1.33	1.25	1.52
18:00	38	ნოტინგემი-იოვილი	1.30	5.00	8.50	1.03	1.12	3.14
		ინგლისი. II ლიგა						
		3 მაისი						
18:00	39	როტერჰემი-ბარნეტი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
18:00	40	სტოკპორტი-ბრენტფორდი	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
18:00	41	ფარნბოროუ-ბერი	2.25	3.30	2.90	1.33	1.26	1.54
18:00	42	უიკომბი-ბრედფორდი	2.00	3.40	3.40	1.25	1.25	1.70
18:00	44	ჩესტერფილდი-ნოტსი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
18:00	46	პერეფორდი-გრიმსბი	1.70	3.50	4.50	1.14	1.23	1.96
18:00	47	ლინოლნი-რეჭესმი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
18:00	48	დონსი-მორეკომბი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
18:00	49	პიტერბრო-დარლინგტონი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
18:00	50	რონდეილი-შრიუსბერი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
		ინგლისი. კონფერენსი						
		1 მაისი						
22:45	82	ეჩესტერი-ტორკეი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
		2 მაისი						
22:45	83	ბარტონი-კემბრიჯი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		3 მაისი						
15:30	105	მოზერუელი-სელტიკი	6.20	3.80	1.45	2.35	1.17	1.04
18:00	106	აბერდინი-დანდი იუნაიტედი	2.20	3.40	2.80	1.33	1.23	1.53
18:00	107	ინვერნესი-გრეტნა	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
18:00	108	სტ.მირენი-კილმარნოკი	2.10	3.25	3.15	1.27	1.25	1.59
		4 მაისი						
17:00	109	ჰიბერნიანი-რეინჯერსი	4.85	3.60	1.60	2.06	1.20	1.10
		5 მაისი						
22:45	110	ფოლკირკი-ჰარტი	2.70	3.30	2.35	1.48	1.25	1.37
		შოტლანდია.პლეი ოფი						
		30 აპრილი						
22:45	93	აბერდინი-კილმარნოკი	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
22:45	94	რეითი-ერდრი	2.45	3.30	2.55	1.40	1.24	1.43
22:45	95	არბროთი-კუადენბეთი	2.45	3.30	2.55	1.40	1.24	1.43
22:45	96	მონტროუზი-სტრანრაერი	2.30	3.30	2.75	1.35	1.25	1.50
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		2 მაისი						
22:30	151	დორტმუნდი-ნიურნბერგი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		3 მაისი						
17:30	152	ჰანზა-ჰამბურგი	3.10	3.30	2.20	1.59	1.28	1.32
17:30	153	არმინია-ბოხუმი	1.85	3.30	4.10	1.18	1.27	1.82
17:30	154	შალკე-ჰანოვერი	1.50	3.80	6.00	1.07	1.20	2.32
17:30	156	ვერდერი-კოტბუსი	1.35	4.50	8.50	1.03	1.16	2.94
17:30	158	შტუტგარტი-აინტრახტი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
17:30	159	ჰერტა-კარლსრუე	1.90	3.30	3.85	1.20	1.27	1.77
		4 მაისი						
19:00	150	დუისბურგი-ლევერკუზენი	3.10	3.20	2.20	1.57	1.28	1.30
19:00	160	ვოლფსბურგი-ბაიერნი	3.20	3.30	2.10	1.62	1.26	1.28
		იტალია. სერია A						
		4 მაისი						
17:00	211	კალიარი-ფიორენტინა	2.70	2.80	2.75	1.37	1.36	1.38
17:00	212	პარმა-ჯენოა	1.50	3.90	6.20	1.08	1.20	2.39
17:00	213	მილანი-ინტერი	2.55	2.90	2.90	1.35	1.35	1.45
17:00	215	სიენა-იუვენტუსი	7.00	3.30	1.55	2.24	1.26	1.05
17:00	217	ატალანტა-ლივორნო	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
17:00	218	ტორინო-ნაპოლი	1.40	4.00	7.20	1.03	1.17	2.57
17:00	219	ლაციო-პალერმო	2.40	2.50	3.80	1.22	1.47	1.50
17:00	220	კატანია-რეჯინა	2.05	2.80	4.20	1.18	1.37	1.67
17:00	221	სამპდორია-რომა	2.60	3.00	2.75	1.39	1.33	1.43
17:00	222	ემპოლი-უდინეზე	2.05	2.90	3.70	1.20	1.31	1.62

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		3 მაისი						
22:00	257	ატლეტიკო-უელვა	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
23:45	259	სარაგოსა-დეპორტივო	2.00	3.20	3.65	1.23	1.29	1.70
		4 მაისი						
19:00	253	სევილია-ვალიადოლიდი	1.45	3.80	7.20	1.04	1.20	2.48
19:00	254	ალმერია-ბეტისი	2.20	3.20	3.20	1.30	1.30	1.60
19:00	255	ვილარეალი-ხეტაფე	1.80	3.30	4.50	1.16	1.28	1.90
19:00	258	ლევანტე-ესპანიოლი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
21:00	260	ბარსელონა-ვალენსია	1.70	3.30	5.10	1.12	1.27	2.00
23:00	262	ოსასუნა-რეალი	2.90	3.20	2.35	1.52	1.29	1.35
19:00	264	ბილბაო-მალიორკა	2.25	3.20	3.10	1.32	1.30	1.57
19:00	265	რასინგი-მურსია	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		3 მაისი						
22:00	321	ლორიანი-ლე მანი	2.25	3.00	3.10	1.28	1.30	1.52
19:10	323	ნიცა-ლიონი	4.35	3.10	1.80	1.81	1.27	1.13
22:00	325	სოშო-მეცი	1.50	3.60	5.75	1.05	1.18	2.21
22:00	326	ლანსი-მონაკო	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
21:00	327	ტულუზი-პსჟ	2.60	2.90	2.70	1.37	1.32	1.39
22:00	328	კაენი-რენი	2.45	3.00	2.75	1.34	1.29	1.43
22:00	329	ნანსი-სტრასბური	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
22:00	331	ოსერი-ვალენსიენი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
		4 მაისი						
22:45	320	მარსელი-ბორდო	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
20:00	322	სტ.ეტიენი-ლილი	2.05	3.00	3.50	1.21	1.29	1.61
		ჰოლანდია. პლეი ოფი						
		1 მაისი						
16:30	72	პერენვენი-აიაქსი	2.75	3.20	2.35	1.47	1.26	1.35
16:30	97	დენ ჰაგი-ვენლო	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
16:30	98	ზვოლე-დენ ბოსხი	2.35	3.10	2.70	1.33	1.25	1.44
16:30	99	მაასტრიხტი-ვალვაიკი	2.80	3.20	2.20	1.49	1.23	1.30
16:30	100	ჰელმონდი-გრაფშხაპი	2.60	3.10	2.40	1.41	1.24	1.35
16:30	101	უტრეხტი-გრონინგენი	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
21:30	102	როდა-ნაიმეგენი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
		საბერძნეთი						
		30 აპრილი						
17:45	75	პანიონიოსი-არისი	2.70	2.90	2.40	1.39	1.27	1.31
20:00	76	პანათინაიკოსი-აეკ	2.25	3.00	2.90	1.28	1.26	1.47
		რუსეთი						
		2 მაისი						
15:00	401	კრილია-ამკარი	2.00	3.20	3.55	1.23	1.27	1.68
19:30	402	ნალჩიკი-მოსკოვი	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
17:30	404	შინეკი-დინამო მ	3.10	3.00	2.30	1.52	1.32	1.30
16:00	405	რუბინი-სპარტაკი მ	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
		3 მაისი						
14:00	406	სატურნი-ხიმკი	1.70	3.10	5.10	1.09	1.27	1.92
16:30	407	ტერეკი-ტომსკი	1.90	3.10	4.00	1.17	1.28	1.74
19:00	408	ლოკომოტივი-ენერგია	1.30	4.60	8.50	1.01	1.12	2.98
		4 მაისი						
19:00	403	ცსკა-ზენიტი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		30 აპრილი						
21:00	472	სტარტი-პოდი	1.20	6.00	9.50	1.00	1.06	3.67
21:00	473	ჰაუგესუნდი-ჰაინეფოსი	1.70	3.60	4.20	1.15	1.21	1.93
21:00	476	ოდ გრენლანდი-სპარტა ს	1.15	6.75	11.00	1.00	1.04	4.18
21:00	478	მოსი-ნოტოდენი	1.40	4.10	7.00	1.04	1.16	2.58
21:00	479	ლოვ ჰამი-კონგსვინგერი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
		იაპონია						
		30 აპრილი						
14:00	522	კაშიმა-კობე	1.50	3.80	5.50	1.07	1.17	2.24
14:00	523	გამბა-ომია	1.45	3.90	6.00	1.05	1.16	2.36
		ჩილე						
		30 აპრილი						
21:00	568	პიგინი-უნ.ჩილე	2.15	3.25	2.95	1.29	1.24	1.54
23:30	569	ნუბლენსე-იუდასი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:30	570	პალესტინო-ხერენა	1.70	3.35	4.40	1.12	1.22	1.90
23:30	571	მორნინგი-მელიპილა	1.45	3.80	6.20	1.04	1.17	2.35
23:45	572	კობრელოა-უნ.კატოლიკა	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
23:45	573	ოსორნო-ევერტონი	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26
23:45	574	ანტოფაგასტა-დ.კონსეპსიონი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
23:45	575	რეინჯერსი-უნ.ესპანიოლა	2.15	3.25	2.95	1.29	1.24	1.54
23:45	617	უ.კონსეპსიონი-კობრასალი	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
		ჩემპიონთა ლიგა						
		30 აპრილი						
22:45	68	ჩელსი-ლივერპული	2.30	2.90	3.50	1.28	1.38	1.58
		უეფას თასი						
		1 მაისი						
20:30	69	ზენიტი-ბაიერნი	3.65	3.20	1.95	1.70	1.27	1.21
22:45	70	ფიორენტინა-რეინჯერსი	1.65	3.30	5.35	1.10	1.26	2.04
		პოლონეთი. თასი						
		30 აპრილი						
19:45	77	გროცლინი-ვისლა	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
19:45	78	ზაგლებე ლ-ლეგია	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		ჩეხეთი. თასი						
		1 მაისი						
19:00	80	ბრნო-ლიბერეცი	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
		დანია. თასი						
		1 მაისი						
17:00	74	ბრიონდბიუ-ესბიერგი	2.10	3.30	3.60	1.28	1.32	1.72
		ლიბერტადორესის თასი						
		30 აპრილი						
23:45	87	ბოკა ხუნიორსი-კრუზეირო	1.60	3.40	4.80	1.08	1.20	1.99
23:45	88	ამერიკა-ფლამენგო	1.90	3.30	3.30	1.20	1.20	1.64
23:45	89	სან ლორენცო-რივერ პლეიტი	2.30	3.20	2.60	1.33	1.22	1.43
23:45	90	ატლ ნაციონალი-ფლუმინენსე	2.25	3.20	2.70	1.32	1.22	1.46
23:45	91	მონტევიდეო-სან პაულო	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
		1 მაისი						
23:45	92	სანტოსი-კუტუტა დეპორტივო	1.45	3.70	6.20	1.04	1.17	2.31

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲖᲣᲡᲢᲔᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

NBA პლეი ოფი. პირველი წრე

დადგა დრო, მსოფლიო გავაოცოთ!

ატლანტამ ბოსტონს გაუთანაბრა



ზაზა ფაჩულიამ კევინ გარნეტს ფრჩხილისოდენა არ დაუთმო

28 აპრილი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 2:2 ატლანტა

ატლანტა 97:92 ბოსტონი

ატლანტა: ბიბი (18), ჯონსონი (35), უილიამსი (8), სმიტი (28 ქულა, 7 დაფარება), ჰორფორდი (4 ქულა, 13 მოხსნა); ჩილდრესი (4), **ფაჩულია** (11 წუთი, 0 ქულა, 2 მოხსნა), ლოუ, ჯონსი, ვესტა

ბოსტონი: რონდო (14 ქულა, 12 პასი), რ. ალენი (21), პირსი (18), გარნეტი (20 ქულა, 9 მოხსნა, 6 ჩაჭრა), პერკინსი (6); პოუზი (10), პოუი (3), კასელი, ჰაუსი, დევისი

„დადგა დრო, მსოფლიო გავაოცოთ!“ — ბედნიერი ღიმილით და საკუთარ თავში სრულიად დარწმუნებული კაცის იერით ამბობდა ჯოშ სმიტი მას შემდეგ, რაც მისმა „ატლანტამ“ შინ მეორედაც აჯობა გოროზ „ბოსტონს“ და ყველასთვის მოულოდნელად, სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

სმიტი კარგი იყო, „კელტებს“ 28 ქულა ჩაუგდო და შვიდჯერ დაუფარა (!), მაგრამ მატჩის ნამდვილი გმირი სულ სხვა გახლდათ. წინა სამ შეხვედრაში უამრავი სროლის გამფუჭებელმა „ატლანტას“ ბომბარდირმა ჯო ჯონსონმა ახლა სრულად გამოისყიდა დანაშაული, როცა ბოლო მეოთხედში 20 ქულა დაატეხა მასპინძელთა „თავხედობით“ შეჩქვიფებულ ბოსტონელებს და თავის გუნდს ბოლო წუთებში 10-ქულიანი დეფიციტი გააბათილებინა.

„მწვრთნელ ვუდსონს ვუთხარი, მოედანი გამისუფთავე, ბურთი მომეცი და დანარჩენი მე ვიცი-მეთქიც“ — უსაზღვროდ ამაყი იყო ჯონსონი. მოკლედ, პლეი ოფში ძლივს გასულმა „ატლანტამ“ პროგნოზებში გამოწერილი 0:4 ითაკილა და ხელი თვით „ბოსტონზე“ აღმართა, რომელსაც სულ ცოტა, ფინალში გასვლას უწინასწარმეტყველებენ. ჯონსონმა თუ ასე გააგრძელა, ფავორიტს ამ სერიის მოგებაც კი სათუო გაუხდება.

ჩვენებურმა ზაზა ფაჩულიამ კი თქვა, ჯო ჯონსონი დიდების დარბაზის მომავალი წევრიაო...

და, სად იყო ამ დროს „ატლანტას“ სათადარიგო ცენტრი ზაზა ფაჩულია? შიგ მოვლენების ეპიცენტრში გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 11 წუთი ითამაშა და ქულა არ გაუკეთებია. ვუდსონმა მას საპასუხისმგებლო დავალება მისცა, კევინ გარნეტის ამოკეტვა და ზაზამ ერთი ნაბიჯი არ დაუთმო თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელს. გარნეტმა ძვრა ვერ უყო ქართველს და ისე აეწეწა ნервები, რომ მეორე მეოთხედში, ერთ ეპიზოდში ფარქვეშ ბრძოლისას მას აშკარად გამიზნულად ჩაარტყა იდაყვი. ზაზა დაეცა, მაგრამ არც ამ ჯერზე დაიხია უკან, წამოხტა და გარნეტს შუბლი შუბლზე მიაბჯინა და კარგა მაგრებიც უთხრა. ჩხუბის სუნი დარტიალდა, მაგრამ მსაჯები უცებ ჩადგნენ შუაში, მოედანზე საიდანღაც მაიკ ვუდსონი გაჩნდა და დაძაბულობა განმუხტა.

„ყველამ ვიცით, რომ ის დიდი მოთამაშეა, მაგრამ როცა მოედანზე ვართ, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს — ამბობდა ფაჩულია ნამატჩევს — ჩვენ ზედმეტი არაფერი გვინდა, ჩვენსას ვთამაშობთ. მესიჯი კი ასეთი იყო: ჩვენ აქ, საბრძოლველად ვართ და რომც წავაგოთ, იოლად არაფერს დავთმობთ!“

ორლანდო 4:1 ტორონტო

ორლანდო 102:92 ტორონტო

ორლანდო: ჰოვარდი (21 ქულა, 21 მოხსნა), ნელსონი (19), ლუისი (18), თურქოღლუ (12 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ბოგანსი (11), ევანსი (12)

ტორონტო: ბოში (16), ფორდი (14), დელფინი (14), კაპონო (13), კალდერონი (12), პარკერი (11)

ჩვეულებრივ, ლაზღანდარა დუაიტ ჰოვარდი პლეი ოფში დასერიოზულდა და მთელი „ტორონტო“ ლამის მარტომ წალეკა. „ორლანდოს“ სუპერცენტრს უკვე მესამე 20+20 თამაში ჰქონდა — 21 ქულა და 21 მოხსნა. მასზე დაყრდნობილმა ფლორიდელებმა იოლად მოიგეს და ბოლო 12 წელიწადში პირველად უწიეს მეორე რაუნდს.

დასავლეთი

ლეიკერსი 4:0 დენვერი

დენვერი 101:107 ლეიკერსი

დენვერი: სმიტი (26), აივერსონი (22), ენტონი (21 ქულა, 11 მოხსნა), კემბი (3 ქულა, 17 მოხსნა, 4 დაფარება)

ლეიკერსი: ბრაიანტი (31), გასოლი (21), ოდომი (14 ქულა, 12 მოხსნა), რადმანოვიჩი (12)

„დენვერმა“ ბოლოს და ბოლოს შეძლო და წინააღმდეგობა გაუწია „ლეიკერსს“, მაგრამ მაინც ვერას გახდა. კობი ბრაიანტმა მატჩის ბოლო ხუთნახევარ წუთში 14 ქულა გააკეთა და „ლეიკერსს“ სერია 4:0 მოაგებინა.

ივანე კობაიაშვილი

მე ოლ სტარი მერჩივნა

პლეი ოფის პირველ წრეში „ორლანდო მეჯიქი“ მეოთხედ და საბოლოოდ რომ ამარცხებდა „ტორონტო რეპტორზს“, ფლორიდელებმა უკვე იცოდნენ, რომ მათი თურქი ფორვარდი ჰიდაიეთ თურქოღლუ სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე გახდებოდა.

„ორლანდოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ალალად დაიმსახურა ეს პრიზი. ჰედო უკვე მერვე სეზონს ატარებს ნბა-ში, მთელი ეს ხანი მან კარგი მოთამაშის რეპუტაცია შეიქმნა, მაგრამ ასეთი კარგი სეზონი არასდროს გამოუვლია. მან სასტარტო ხუთეულში დაიწყო რეგულარული ჩემპიონატის უკლებლივ 82ვე თამაში და საშუალოდ აგროვა 19,5 ქულა, 5,7 მოხსნა და 5,0 პასი და სამივე კატეგორიაში კარიერის რეკორდს უწია. ქულების მიხედვით, წინა სეზონთან შედარებით, მან 6 ქულაზე მეტით წაიწია

ისე კი, პრიზი რომ გადასცეს, თურქოღლუმ დაიწუწუნასავით — ამ ჯილდოს ოლ სტარში თამაში მერჩივნა, მაგრამ ესეც კარგიაო.

ქართული ლეგიონი

ტაირონ ელისი (მარჯვნივ) „კახასოლს“ პრიმერადივიზიონში დარჩენაში დაეხმარა

ელისის სოლო კახასოლში

როკისთვის პლეი ოფი მსუბუქია

სეზონის დასასრული მოახლოვდა და ლეგიონერებიც შეგვითხელდა. თუმცა ამის მიზეზი ნაკლებადაა ის, რომ ქართველთა გუნდები პლეი ოფში ვერ გავიდნენ. მხოლოდ ერთისთვის — ესტონეთის უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი სერგო ათუაშვილისთვის დასრულდა სეზონი, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილი ტრავმის, ნიკა ცქიტიშვილი კი განაცხადიდან ამოვარდნის გამო ვერ გადიან მოედანზე

ესტონეთი

გიორგი ცინცაძის „როკისთვის“ პლეი ოფი კი დაიწყო, მაგრამ სანამ ფინალი არ მოატანს, მანამდე შეუძლია, არხეინად იყოს. ესტონეთში ჩემპიონობისთვის ორი გუნდი, „როკი“ და „კალევი“ იბრძვის და ფინალამდე მათი შემჩერებელი არავინ ჩანს.

გასულ კვირაში „როკერებმა“ ერთი ძეტოქე გზიდან უკვე ჩამოიშორეს. ცინცაძის გუნდმა მეოთხედფინალური სერიის ორივე მატჩი იოლად მოუგო „კრაფტს“ და გასავარჯიშებლად მორიგ მეტოქეს ელოდება.



გიორგი ცინცაძე

ცინცაძემ ორივე მატჩში სტაბილურად ითამაშა, თუმც თავი არც ერთში არ გაუგიჟებია. პირველ, 91:75 მოგებულ შეხვედრაში ქართველმა უკანახაზელმა 30 წუთში 15 ქულა, 8 პასი და 3 ჩაჭრა მოიხვეჭა, ხოლო მომდევნოში მან 32 წუთი გაატარა მოედანზე — 12 ქულა, 4 პასი, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა.

ესპანეთი

ტაირონ ელისის ყოჩაღი გარჯის წყალობით „კახასოლმა“ ურთულესი მატჩი მოუგო ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „ტაუს“ და პრიმერადივიზიონში ადგილი შეინარჩუნა.

„კახასოლი“ გასავარდნთა ზონას უტრიალებდა და „ტაუსთან“ წაგება რთულ ვითარებაში ჩააგდებდა. თუმც ტაირონ ელისის გუნდმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა, როცა შუაგულ ბასკეთში „ტაუ“ მისივე გულშემატკივართა თვალწინ დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების ამერიკელი უკანახაზელი 19 ქულით მატჩს ბომბარდირი გახდა. მას განსაკუთრებით კარგად თამაში ბოლო მეოთხედში წაუვიდა, როცა მატჩის ბედი წყდებოდა.

„კახასოლი“ რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე მე-11 ადგილზე აცოცდა და პრიმერადივიზიონიდან გავარდნა აღარ ემუქრება.

საბერძნეთი

დასრულდა ელადის რეგულარული ჩემპიონატი და ვლადიმერ ბოისას „არისს“ ახლა პლეი ოფში მოუწევს ჭიდილი. სალონიკელებმა იოლად შეინარჩუნეს მესამე ადგილი, მხოლოდ „პანათინაიკოსსა“ და „ოლიმპიაკოსს“ ჩამორჩნენ და პლეი ოფის პირველ რაუნდშიც, შესაბამისად, სუსტი მეტოქე ერგოთ — „მარუსი“.

„არისმა“ რეგულარულის ბოლო ტურში სტუმრად პაოკ-თან დიდი ბრძოლა გადაიტანა. მთელი თამაში თანაბარ ბრძოლაში გაილია და სალონიკელებმა მხოლოდ ბოლო წამებზე მოიპოვეს გამარჯვება — 75:74.

ბოისამ 16 წუთი ითამაშა და 5 ქულასთან ერთად 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

ირაკლი პერტაია

ტიმი და საქართველო



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასი მოიგო. ახლა შეგვიძლია, ცოტა შევისვენოთ, მოვტრიალდეთ და „ახალი ბორჯღალოსნების" ყოველი ნაბიჯი რიცხვებში ალვნუსხოთ.

სტატისტიკა ბევრ რამეზე მეტყველებს, ახალი სამწვრთნელო შტაბის — ტიმ ლეინის, ლევან ცაბაძისა და ვიქტორ დიდებულიძის ხელში კი რიცხვობრივად ყველაზე შთამბეჭდავი ექვს თამაშში ექვსი მოგებაა.

მაგრამ მოგებაცაა და მოგებაც. „ბორჯღალოსნებმა" ამ ექვს თამაშში 16 ლელო გაიტანეს და მხოლოდ 3 გაუშვეს (აქედან, ორი ესპანეთთან). მეორეს მხრივ დასაფიქრებელია ისიც, რომ მათ ვერც ერთი თამაშში ვერ მოიგეს დიდი სხვაობით, ჩეხეთთანაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ექვსივე მატჩში ფლობდნენ სათამაშო უპირატესობას.

ტიმ ლეინმა ამ ექვს მატჩში სულ 38 მოთამაშე არაგბა (17 უკანახაზელი და 21 მორკინალი) და მათგან 11 ახალბედა გახლდათ. ქვევით გთავაზობთ ამ შეხვედრებში გამოჩენილი 38-ვე მორაგბის სტატისტიკას

2 თებერვალი. თბილისი

საქართველო 31:3 პორტუგალია

5ლ: კაჭარავა, ხამაშურიძე, დადუნაშვილი, გიგაური, ბასილაია; 3გ: ყიასაშვილი, კვირიკაშვილი (2)

9 თებერვალი. თბილისი

საქართველო 22:7 რუმინეთი

1ლ: გორგოძე; 1გ: ბარკალაია; 4ს: ბარკალაია; 1ა: მალალურაძე

23 თებერვალი. ლისაბონი

პორტუგალია 6:11 საქართველო

1ლ: ჩხიკვაძე; 1ს: ბარკალაია; 1ა: მალალურაძე

29 მარტი. პრაღა

ჩეხეთი 3:22 საქართველო

3ლ: მალალურაძე, ჩხიკვაძე, დადუნაშვილი; 2გ: მალალურაძე, ყიასაშვილი; 1ს: მალალურაძე

12 აპრილი. კრასნოიარსკი

რუსეთი 12:18 საქართველო

2ლ: ურუშაძე, კაჭარავა; 1გ: ბარკალაია; 2ს: ბარკალაია

26 აპრილი. თბილისი

საქართველო 22:20 ესპანეთი

4ლ: გორგოძე (3), ურუშაძე; 1გ: ბარკალაია

	თამაში	თ. ძირით.	პორტ. შინ	რუმინეთთან	პორტ. გასვ.	ჩეხეთთან	რუსეთთან	ესპანეთთან	ლელო	გარდასახვა	საჯარიმო	არეკნი	ქულა
მცველები (№15)													
ოთარ ბარკალაია	5	4	22	15	15	—	15	15	—	3	7	—	21
ირაკლი ყიასაშვილი*	2	2	15	—	—	15	—	—	—	2	—	—	4
ფარემარბები (№11, 14)													
ირაკლი ჩხიკვაძე	5	5	14	11	11	11	11	—	2	—	—	—	10
გიორგი შკინინი	5	3	—	14	14	14	22	22	—	—	—	—	—
ბესიკ ხამაშურიძე	1	1	11	—	—	—	—	—	1	—	—	—	5
სანდრო თოდუა*	3	3	—	—	—	12	14	11	—	—	—	—	—
სანდრო ნიჟარაძე*	1	—	—	—	—	21	—	—	—	—	—	—	—
ვასილ აბაშიძე	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
მალხაზ ურჯუკაშვილი	1	1	—	—	—	—	—	14	—	—	—	—	—
შუამარბები (№12, 13)													
ირაკლი გიორგაძე	1	1	—	12	—	—	—	—	—	—	—	—	—
დავით კაჭარავა	6	6	13	13	13	13	13	13	2	—	—	—	10
რევაზ გიგაური	5	4	12	21	12	—	12	12	1	—	—	—	5
ხაზის ნახევარმცველები (№10)													
მერაბ კვირიკაშვილი	4	1	10	—	—	20	21	21	—	2	—	—	4
ლაშა მალალურაძე*	6	5	21	10	10	10	10	10	1	1	1	2	16
შერკინების ნახევარმცველები (№9)													
ირაკლი აბუსერიძე	5	5	9	9	9	—	9	9	—	—	—	—	—
ბიძინა სამხარაძე	4	—	20	20	20	—	—	20	—	—	—	—	—
გიორგი კაჭარავა	1	1	—	—	—	9	—	—	—	—	—	—	—
მესამეხაზელები (№6, 7, 8)													
დიმიტრი ბასილაია*	6	6	8	8	8	8	8	8	1	—	—	—	5
რატი ურუშაძე	5	4	7	18	7	—	7	6	2	—	—	—	10
შალვა სუთიაშვილი	4	3	6	6	—	4	19	—	—	—	—	—	—
გიორგი ჩხაიძე	6	5	18	7	6	7	6	7	—	—	—	—	—
ზვიად მაისურაძე	1	—	19	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
დავით ჩიჩუა*	1	—	—	—	—	19	—	—	—	—	—	—	—
ბესიკ უდესიანი	2	1	—	—	—	6	—	19	—	—	—	—	—
მეორეხაზელები (№4, 5)													
მამუკა გორგოძე	3	3	—	5	—	—	5	5	4	—	—	—	20
კახა უჩავა	5	4	5	4	5	—	4	18	—	—	—	—	—
ლევან დათუნაშვილი	2	2	4	—	4	—	—	—	—	—	—	—	—
გიორგი ნემსაძე	2	2	—	—	—	5	—	4	—	—	—	—	—
სანდრო მჭედლიშვილი	1	—	—	—	—	18	—	—	—	—	—	—	—
პირველხაზელები (№1, 2, 3)													
დავით ზირაქაშვილი	1	1	—	3	—	—	—	—	—	—	—	—	—
დავით ქუბრიაშვილი*	5	4	3	17	3	—	3	3	—	—	—	—	—
ანტონ ფეიქრიშვილი*	2	—	17	—	17	—	—	—	—	—	—	—	—
გოდერძი შველიძე	5	5	1	1	1	1	1	—	—	—	—	—	—
სიმონ მაისურაძე*	4	—	—	—	19	16	16	16	—	—	—	—	—
შოთა მელიქიძე*	1	1	—	—	—	3	—	—	—	—	—	—	—
გიორგი მჭედლიშვილი*	1	—	—	—	—	17	—	—	—	—	—	—	—
იური ნატრიაშვილი	5	4	16	2	2	—	2	2	—	—	—	—	—
დავით დადუნაშვილი	6	3	2	16	16	2	17	1	2	—	—	—	10

** — ახალბედა სათადარიგოები იყვნენ, მაგრამ შეცვლაზე არ შესულან: რუმინეთთან კვირიკაშვილი (21), ზ. მაისურაძე (19); პორტუგალიასთან გასვლაზე თოდუა (22), ყიასაშვილი (21), ნემსაძე (18); ჩეხეთთან აბაშიძე (22); რუსეთთან სამხარაძე (20), ნემსაძე (18)*



პაუელმა შვებულება აიღო

100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს რეკორდსმენ ასაფა პაუელს მკერდის კუნთი დაეჭიმა და ამის გამო ის ორი თვე აღარ გავა სარბენ ბილიკზე. იამაიკელი სპრინტერი გამოტოვებს ტურნირებს დოჰაში, ოსლოში, იუჯინსა და ორეგონში, რათა ბოლომდე აღიდგინოს კუნთოვანი სისტემა და დაახლოებით ივნისის ბოლოს დაუბრუნდეს ფართო გზებს. სავარაუდოდ, მისი პირველი ტურნირი იამაიკის ჩემპიონატი იქნება და მერე ოლიმპიადამდე რას აპირებს, ეს ჯერ არავინ იცის.

მოკლედ, პაუელმა მოკლე შვებულება აიღო ოლიმპიადის წინ. შესაძლოა, მას სერიოზული არც არაფერი სჭირდეს, მაგრამ მაინც იზღვევს თავს და არ უნდა, საფრთხეში შეტოპოს. მან შარშან უკვე იწვნია დიდი დამარცხება, როცა ასეთ პატარა ტრავმებს წაუყრუა და შედეგად, ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე არცთუ კარგი მომზადებით ჩასულს ამერიკელმა ტაისონ გაიმ აჯობა, ვინც შედეგების მიხედვით, ზოგადად, მასზე უკან დგას.

ივანე კობიაშვილი

ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატი. 20 აპრილი - 4 მაისი. პლოვდივი. ბულგარეთი

ნახევარი ქულა და ლიდერები

ლევან ფანცულაია ჩემპიონობის შანსს კვლავაც ინარჩუნებს. ებრაელ ემილ სუტოვსკისთან მარცხის შემდეგ ქართველმა პოზიციები ცოტა დასთმო, თუმც შემდეგ ორ ტურში 1,5 ქულა აიღო და ექვსქულიან ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

მეშვიდე ტურში ჩვენებური შავი ფიგურებით უკრაინელ ზაჰარ ეფიმენკოს დაუპირისპირდა. მეტოქეებმა თამაში იერიშებით დაიწყეს, ლევანმა მარჯვენა მხრიდან მხედრებით დაარტყა თეთრებს, ფლანგი გაასუფთავა და ლაზიერით მიაწვა. უკრაინელმა მეორე მხრიდან არჩია შეტევა, მანაც ლაზიერი დაქოქა და ფანცულაიას მეფეს მიუხტა. ქართველმა მანევრებს მიმართა, უკრაინელის აგრესია შეასუსტა და 50-ე სვლაზე ყაიმს გამორჩა.

ქალებში ლიდერების სიახლოვეს ორი ჩვენებური ტრიალებს. ნანა ძაგნიძესა და ლელა ჯავახიშვილს ხუთ-ხუთი ქულა აქვთ და ლიდერთა ხუთეულს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან.

მეშვიდე ტურში ჯავახიშვილი შავებით სომეხ ლილიტ მკრტჩიანს დაუზავდა, ძაგნიძემ კი თეთრებით სოფო ხუხაშვილი დაამარცხა.

ლაშა გეგეჭკორი

ფიდეს გრან-პრი

ბაქო. აზერბაიჯანი. 20 აპრილი-6 მაისი

VII ტური

ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი)	1:0	გატა კამსკი (აშშ)
ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)	0,5:0,5	ვან იუე (ჩინეთი)
თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	0:1	მაგნუს კასრლსენი (ნორვეგია)
მაიკლ ადამსი (ინგლისი)	0,5:0,5	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)
სერგეი კარიაკინი (უკრაინა)	1:0	ერნესტო ინარკიევი (რუსეთი)
დავიდ ნავარა (ჩეხეთი)	0,5:0,5	პიოტრ სვიდლერი (რუსეთი)
ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)	1:0	შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)

იუეს ძლიერი ჩინეთი

ბაქოში ჩასულ 21 წლის ვან იუეს ჰკითხეს, არ გეშინია ამდენ ევროპელში ერთი აზიელი რომ ხარო. „ყველანი ძლიერები ვართ და ჩინეთიც ძლიერია" — უპასუხა იუემ.

ახალგაზრდა იუე მართლაც ძლიერად გამოიყურება, დაფაზე არავის უდებს ტოლს და საფეხბურთო მოედანზეც საუკეთესოა — მეექვსე ტურამდე მოჭადრაკეებმა შესვენებით ისარგებლეს, ბურთი გააგორეს და ერთმანეთს გოლებიც გაუტანეს. ჩინელი დიდოსტატი თავის გუნდში საუკეთესო იყო და მეტოქეები მოედანზეც არ დაინდო.

მეშვიდე ტურში კი აზიელი შავი ფიგურებით ალექსანდრ გრიშჩუკს დაუპირისპირდა. მოჭადრაკეებმა სლავური დებიუტი გაითამაშეს, მეფეები საიმედოდ გადამალეს და ერთმანეთს მსუბუქი ფიგურებით შეუტიეს. გრიშჩუკი მარჯვენა ფლანგზე გააქტიურდა, პაიკებით მიაწვა მეტოქეს და ფლანგსაც დაეპატრონა. იუემ ლაზიერის ფრთიდან დაარტყა თეთრებს, მძიმე ფიგურებით დაბომბა და გაცვლებს მიმართა. ხოცვა-ჟლეტაში დიდოსტატებმა ერთმანეთს ვერ აჯობეს და 59-ე სვლაზე ყაიმი გამოაცხადეს.

ლაშა გეგეჭკორი

1.	ვან იუე	4,5
2.	ვუგარ გაშიმოვი	4,5
3.	ალექსანდრ გრიშჩუკი	4,5
4.	მაგნუს კარლსენი	4
5.	გატა კამსკი	4
6.	თეიმურ რაჯაბოვი	3,5
7.	ეტიენ ბაკრო	3,5
8.	პიოტრ სვიდლერი	3,5
9.	მაიკლ ადამსი	3,5
10.	სერგეი კარიაკინი	3,5
11.	შაჰრიარ მამედიაროვი	3
12.	დავიდ ნავარა	2,5
13.	ივან ჩეპარინოვი	2,5
14.	ერნესტო ინარკიევი	2



უშანგი კუზანაშვილი მტკივნეული ილეთიდან კი დაუძვრა მეტოქეს, მაგრამ მაინც ვერცხლის მედალს დასჯერდა

რუსებმა ჰიმნი ჰიტად აქციეს

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში, ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს, რუსეთის ეროვნული ჰიმნი რვაჯერ გაისმა. არადა, საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი სულ მცირე, ორ ოქროს მედალს მაინც გეგმავდა. ერთ-ერთი ესპანელი მოჭიდავე დაჯილდოვების მიწურულს ისე გამართულად ღიღინებდა რუსეთის ჰიმნს, რომ იქვე მდგომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებსაც კი შეშურდათ... შეჯიბრება დარბაზში რუსულენოვანი კომენტარების თანხლებით მიდიოდა, რის მიზეზსაც ნამდვილად ვერ მოგახსენებთ, შეიძლება სამბო რუსული სახეობა რომ არის იმიტომ...

ქართველთაგან ოქროს მედალს მხოლოდ უშანგი კუზანაშვილი წაეპოტინა, მაგრამ ამაოდ. ჩვენი ფალავანი ფინალში ბელარუს ანდრეი კარლიპოს შეხვდა და ორთაბრძოლის დასაწყისში 3:0 აგებდა. კუზანაშვილი ბოლომდე მედგრად გაისარჯა, სამქულიანი სხვაობა შეხვედრის მიწურულს გააბათილა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ბელარუსმა სპორტსმენმა მსაჯებისგან ბოძებული აქტიურობით იმარჯვა. ფინალამდე კი უშანგიმ ჯერ ბულგარელი ივან ბელომაჩევი დაამარცხა, შემდეგ ისლამ გასიმოვიც (აზერბაიჯანი) გაიარა და ისე უწია კვარცხლბეკს.

62 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დავით სიმონიშვილმა დაიკავა. იგი ფინალში გასასვლელ შეხვედრაში დამარცხდა ახლა უკვე ევროპის ჩემპიონ რუს ვლადიმირ ლეონტიევთან.

ბრინჯაოს მედალს დასჯერდა ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი მინდია ბოდაველი. მინდია 90 კგ. წონით კატეგორიაში გამოდიოდა, მაგრამ, მანაც ფინალში გადასასვლელი ორთაბრძოლა დათმო ესპანელ რიკარდო მარტინ ეჩარტესთან. ბოდაველმა მესამე ადგილისთვის შეხვედრა მოლდოველ რამაზან მარტაზალიევთან მოიგო. კახა მამულაშვილმა 74 კგ-ში და ზვიად ჩიხჩალაძემ მძიმე წონით კატეგორიაში აღსანიშნი ვერაფერი გააკეთეს. ისინი ადრეულად გამოეთიშნენ ტურნირს.

ქართველ ქალ მოჭიდავეთაგან 56 და 64 კგ წონით კატეგორიებში ნათია ოძელაშვილმა და არმიენ ავაქიანმა ვერ იყოჩაღეს. მათაც თავიანთ პირველ ორთაბრძოლებში მოუხდათ შეჯიბრების დატოვება.

ზურაბ მიგრიაული

ქალები

48 კგ

1. კრისტინა კვაჩანი (რუსეთი)
2. ვოლჰა ლეშჩანკა (ბელარუსი)
3. ტამარა კარპეტიანი (უკრაინა)

56 კგ

1. ტატიანა ზენჩენკო (რუსეთი)
2. ელიზა რეზევა (ბულგარეთი)
3. ანჟელა ჰაიმი (ბელარუსი)

64 კგ

1. ოლენა საიკო (უკრაინა)
2. ვანია ივანოვა (ბულგარეთი)
3. ეკატერინა გოლბერგი (რუსეთი)
3. კატრიარინა ფილინოვიჩი (ბელარუსი)

72 კგ

1. სვეტლანა გალიანტი (რუსეთი)
2. მარია კაზნიაცოვა (ბელარუსი)
3. ტატიანა სავენკო (უკრაინა)

80 კგ

1. ირინა როდინა (რუსეთი)
2. ირეინა ლადკოასკავა (ბელარუსი)
3. ტატიანა ანდრეაშჩენკო (უკრაინა)

კაცები

52 კგ

1. ანდრეი კარლიპო (ბელარუსი)
2. უშანგი კუზანაშვილი (საქართველო)
3. დენის ჩერენცოვი (რუსეთი)
3. ისლამ გასიმოვი (აზერბაიჯანი)

62 კგ

1. ვლადიმირ ლეონტიევი (რუსეთი)
2. იჰარ სედოი (ბელარუსი)
3. დავით სიმონიშვილი (საქართველო)
3. ტარლან კარიმოვი (აზერბაიჯანი)

74 კგ

1. დიმიტრი ლებედევი (რუსეთი)
2. აშოტ დანიელიანი (სომხეთი)
3. არაზ მაკტაროვი (აზერბაიჯანი)
3. ვიკტორ სავინოვი (უკრაინა)

90 კგ

1. ალსიმ ჩერნოსკალოვი (რუსეთი)
2. რიკარდო მარტინ ეჩარტე (ესპანეთი)
3. მინდია ბოდაველი (საქართველო)
3. ჰაკობ არაქელიანი (სომხეთი)

+100 კგ

1. ანდრეი ვოლკოვი (რუსეთი)
2. ალეკსანდრ ვაკჰავიაკი (ბელარუსი)
3. ვიტალი სებანუ (მოლდოვა)
3. ალეკსანდრ ტიტარენკო (უკრაინა)

სამაისო ფოტოსპორტი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი „ელ ჯის“ ოფიციალურ დისტრიბუტორ კომპანია „ალგორითმთან“ ერთად 9-დან 11 მაისის ჩათვლით გალერეა „მუზაში“ აწყობს სპორტულ ფოტოკონკურსს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც პროფესიონალ, ასევე მოყვარულ ფოტოგრაფებს. ამასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, „ალგორითმის“ წარმომადგენელმა გიორგი კორახაშვილმა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ისაუბრეს...

დავით ნამგალაური: მოხარული ვარ, რომ წლეულსაც ჩატარდება ფოტოკონკურსი. შარშან ბევრი საინტერესო ფოტო გამოიფინა და ვფიქრობ, ამჯერადაც საინტერესო ნამუშევრებს ვიხილავთ. მონაწილეებმა ფოტოები 29 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახურში უნდა წარადგინონ. 5 მაისს სრულდება ფოტოების მიღების პროცესი, რის შემდეგაც სპეციალური კომისია შეარჩევს საუკეთესო ნამუშევრებს. რჩეული ფოტოები სამი დღის მანძილზე გამოიფინება გალერეა „მუზას“ პავილიონში. გამარჯვებულები პრემიებით და ფოტოგრაფის პროფესიისათვის აუცილებელი პრიზებით დასაჩუქრდებიან.

ელგუჯა ბერიშვილი: კონკურსი მოეწყობა სამ სხვადასხვა ნომინაციაში: ფოტო წარსულიდან, თავისუფალი თემა — „ცხოვრება მშვენიერია“ და საუკეთესო თანამედროვე ფოტო — ეს ის ნომინაციებია, სადაც ფოტოგრაფები თავიანთ აპარატებს მოსინჯავენ. „საუკეთესო თანამედროვე ფოტოში“ გამარჯვებული 1000 ლარს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული კონკურსანტი 700 ლარს, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი 500 ლარს. ნომინაციებში „ფოტო წარსულიდან“ და „ცხოვრება მშვენიერია“-ში გამარჯვებულებიც მიიღებენ სპეციალურ პრიზებს.

გიორგი კორახაშვილი: მოხარულები ვართ, რომ მოგვიწია ამ ღონისძიების გენერალური სპონსორობა. იმედია, ეს ფოტოკონკურსი ტრადიციულ სახეს მიიღებს.

ზურაბ მიგრიაული

ჩოგბურთი

ხანგრძლივი, წელიწადზე მეტხანს გაგრძელებული იძულებითი შესვენების შემდეგ, ერთ დროს რეიტინგის 50 მოწინავეს შორის მყოფი ირაკლი ლაბაძე ამ კვირაში განაახლებს აქტიურ საჩოგბურთო კარიერას.

მთელი ეს ამდენი ხანი ირაკლი ტრავმებს ებრძოდა, მკურნალობდა, იშუშებდა და კორტზე პირველად, ამ ორი კვირის წინ, სლოვაკებთან სადევისთასო მატჩისას გამოჩნდა.

ახლა კი 27 წლის ლაბაძე, რომელიც უთამაშებლობის გამო ATR-ის რეიტინგში აღარც არის, პრაღის ჩელენჯერის ორგანიზატორებმა მიიწვიეს და 64-ათასევროიანი ტურნირის ძირითად ბადეში ჩასვეს.

ირაკლის პირველი მეტოქე კლასიფიკაციის 202-ე ნომერი, ავსტრიელი მარტინ სლანარი იყო და პირველი სეტის 3:6 წაგებისა და მეორეში 1:3 ჩამორჩენის შემდეგ, ქართველმა თამაში შეწყვიტა.



[illegible] ფოტო

ლაბაძემ პრაღით დაიწყო, და...

ამ კვირაში ჩოგბურთის ქართველ ქომაგთა ყურადღება კიდევ სამი ტურნირისკენაა მიპყრობილი. საფრანგეთში, კანის თიხნარზე, ITF-ის ეგიდით საკმაოდ პრესტიჟული, 100-ათასიანი შეჯიბრი ტარდება და საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი პირველ წრეში მეორე ნომრად განთესილ მასპინძელს, 26 წლისა და რეიტინგში 65-ე პოზიციაზე მყოფ კამილ პინს შეხვდება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, შარლოტსვილის თიხაზე კი 50-ათასიანი ტურნირია. ანა ტატიშვილი იქ ძირითად ბადეშია და პირველ წრეში მე-7 ნომრად განთესილ ავსტრალიელს, 25 წლის მონიკა ადამჩიკს დაუპირისპირდება, ვისაც WTA-ს კლასიფიკაციაში 165-ე საფეხური უკავია.

ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან ცდილობს მოხვედრას სალომე დევიძე, რომელმაც პირველ მეტოქეს, 19 წლისა და რეიტინგში 670-ე ადგილზე მყოფ ბელარუს ალექსანდრა მალარჩიკოვას 6:0 4:6 7:5 სძლია. დევიძის მეორე მოწინააღმდეგე 21 წლის ამერიკელი ნიკოლ ლიმბახია, ვინც კლასიფიკაციაში 682-ე პოზიციაზე იმყოფება.

თურქეთში, ადანას თიხნარზე კი 10-ათასიანი შეჯიბრი ტარდება. იქ ძირითად ბადეში ორი ჩვენებურია — სოფო ქვაცაბაია და მარიამ კუპრეიშვილი. სოფომ ერთი წრე უკვე გაიარა — 6:1 6:1 მოიუგო 16 წლის ურეიტინგო რუს ანა მორგინას და ახლა ასევე 16 წლის ავსტრალიელ ჯად ჰოპერს შეხვდება. რაც შეეხება კუპრეიშვილს, მისი პირველი მეტოქე ბულგარელი ჰულია ველიევა იქნება.

ველორბოლა

ალეხანდრო ლიეჟელი

„კაის დეპარნის“ ესპანელ მრბოლ ალეხანდრო ვალვერდეს სრული უფლება აქვს განაცხადოს, რომ პოპულარული ბელგიური ერთდღიანი კლასიკა „ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი“ სწორედ მისი რბოლაა. 28 წლის ბასკმა იქ 2006 წელს იპირველა, შარშან მეორე ადგილი დაიკავა და აი, გასულ კვირას კიდევ ერთხელ მოიგო ეს 261-კილომეტრიანი პოპულარული რბოლა, რომელიც წლეულს 94-ედ ჩატარდა.

„ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის“ გზაზე მრავალი მკვეთრი აღმართ-დაღმართია და ამ აღი-ჩადიში ვალვერდემ გერმანული „გეროლშტაინერის“ იტალიელ დავიდ რებელინთან და დანიური CSC-ის ლუქსემბურგელ ფრანკ შლეკთან ერთად მოახერხა გაქცევა. ამ სამეულმა უახლოეს მდევარს, ფრანკ შლეკის ძმას, ენდი შლეკს ზუსტად ნახევარი წუთით აჯობა და უშუალოდ გამარჯვებულის ვინაობა კი ფინიშისას გაირკვა, როდესაც ვალვერდე კონკურენტებზე ოდნავ უფრო სწრაფი აღმოჩნდა.

ესპანელმა 261 კილომეტრის გავლას 6 საათი, 44 წუთი და 4 წამი მოანდომა და ფინიშის შემდეგ განაცხადა, ბრწყინვალე შეგრძნებაა, აქ ყოველთვის კარგად გამოვდივარ, მაგრამ ჩემთვის მთავარი, მაინც „ტურ დე ფრანსია“ და იმედია, ივლისში ოპტიმალურ ფორმაში ვიქნებიო.

და ერთიც — ველოსპორტის საერთაშორისო კავშირსა (UCI) და დიდი ველორბოლების ორგანიზატორთა შორის არსებული უთანხმოების გამო, UCI-ის მიერ ორგანიზებული პრო-ტურის კალენდარში, არც „ლიეჟი-ბასტონ-ლიეჟი“ იყო შეტანილი და ამიტომაც, ამ ბელგიური რბოლის შემდეგ პრო-ტურის რეიტინგში არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

ბელარუსის ჯორჯია

ამერიკული ველოგუნდის „ჰაი როადის“ ბელარუსი მრბოლის, კონსტანტინ სივცოვის გამარჯვებით დასრულდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული შეიდეტაპა „ჯორჯიის ტური“.

25 წლის სივცოვმა გადამწყვეტი უპირატესობა მეხუთე, სამთო ეტაპზე მოიპოვა და შემდეგ უპრობლემოდ შეინარჩუნა ლიდერის მაისურა.

საბოლოო ჯამში სივცოვმა 4 წამით აჯობა კიდევ ერთი ახლადშექმნილი ამერიკული ველოგუნდის, „სლიპსტრიმის“ ავსტრალიელ ტრენტ ლოუს, მესამე ადგილზე კი, გამარჯვებულთან 14-წამიანი ჩამორჩენით, რბოლის ფავორიტად მიჩნეული, შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ მესამე პრიზიორი, ყაზახური „ასტანას“ ამერიკელი მრბოლი ლევი ლეიფჰემერი გავიდა.

ჰოკეი

ანტარქტიდული ამბავი

პლეი ოფი მეორე წრე

28 აპრილი

ფილადელფია 3:2 მონრეალი

0:0 3:0 0:2

სერია ფილადელფიას მიჰყავს 2:1

1:0 ეპშოლი (28, ლუპული), 2:0 რიჩარდსი (36, უმც. უასისტენტოდ), 3:0 ამბერგერი (39, კარტერი, კობერნი), 3:1 პლეკანეცი (48, უმრ. ლატანდრესი, ს. კოსტიცინი), 3:2 კოივუ (49, უმრ. მარკოვი, ჰიგინსი)

როგორღაც ისე გამოვიდა, რომ ნჰლ-ის პლეი ოფის მეორე წრეზე აქამდე თითქმის არ მოგვიწია საუბარი — არადა, ყველა სერიაში მინიმუმ ორი თამაში ჩატარდა და ერთგან მესამედაც მოასწრეს დაჯახება. ამიტომ ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ ჩრდილო ამერიკის ყინულოვან მოედნებზე დატრიალებულ ამბებს.

თავიდან აღმოსავლეთ კონფერენციას გადავხედოთ და „მონრეალ“ — „ფილადელფიის“ დაპირისპირებით დავიწყოთ, სადაც ჯერჯერობით ფავორიტად მიჩნეულ გუნდს საქმეები არცთუ სახარბიელოდ მისდის. რა თქმა უნდა, კონფერენციის ჩემპიონ „კანადიენსზე“ ვსაუბრობთ, რომელმაც მოედნის უპირატესობის დაკარგვა მოასწრო, გუშინდელი მარცხის შემდეგ კი „ფლაიერზს“ სერიაში დაწინაურების საშუალებაც მისცა. ჯერჯერობით აქ ყველაფერს მეკარეები წყვეტენ — უფრო სწორად კი ერთი მათგანი, „ფილადელფიის“ კარის დარაჯი მარტინ ბირონი ბატონობს, რომელიც ბრწყინვალედ გამოიყურება. ბირონის სრული ანტიპოდია „მონრეალის“ ახალგაზრდა მეკარე კერი პრაისი, რომელმაც უკვე დაუშვა რამდენიმე უხეში შეცდომა და ამით „კანადიენსი“ მაგრადაც აზარალა. კანადური გუნდის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კი გენერალური მენეჯერი ბობ გეინი ალბათ სიმწრისაგან თითებს იჭამს, რომ დედლაინზე უაზროდ მოიშორა თავიდან ფრანაგი კრისტობალ იუე.

აღმოსავლეთის მეორე ნახევარფინალში კი ძალიან დამაჯერებლად გამოიყურება „პიტსბურგი“, რომელსაც წლევანდელ პლეი ოფში ჯერ ერთხელაც არ წაუგია. „ოტავას“ განადგურების შემდეგ ანტარქტიდის ბინადრები არც „რეინჯერსს“ ინდობენ და სერიაში უკვე 2:0 მიჰყავთ. არადა, მანჰეტენელებს პირველი მატჩის მოგების მშვენიერი შანსი ჰქონდათ, როცა მეორე პერიოდის შუაწელზე სამშაიბიან უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ „პინგვინებმა“ ახალგაზრდა ლიდერების — სიდნი კროსბისა და ევგენი მალკინის ბრწყინვალე თამაშის წყალობით შეძლეს თითქმის უიმედო მატჩის მოტრიალება.

ნიუიორკულმა გუნდმა მეორე შეხვედრაში კი შეძლო კროსბი-მალკინის დუეტის მორჯულება, მაგრამ, ვერაფერი მოუხერხა „პიტსბურგის“ კარის დარაჯ მარკ-ანდრე ფლერის, რომელმაც მომხვდურებს კინკილა შაიბის გატანის საშუალებაც არ მისცა — სამაგიეროდ, ჯორდან სტაალმა გამოიჩინა თავი და ახლა „რეინჯერსმა“ ორივე საშინაო მატჩი უნდა მოიგოს, თორემ კატასტროფის წინაშე დადგება.

ჯერჯერობით ბრძოლის ნასახიც არ არის დასავლეთ კონფერენციის არც ერთ ნახევარფინალში, სადაც დღევანდელი გადასახედიდან „დეტროიტი“ და „დალასი“ ერთი თავით მაღლა დგანან, შესაბამისად, „კოლორადოსა“ და „სან ხოსეზე“.

განსაკუთრებულ გაკვირვებასა და ქებას მაინც „დალასი“ იმსახურებს, რომელიც აწ უკვე ექსჩემპიონ „ანაჰაიმის“ სახით ხომ მოერია ერთ კალიფორნიულ მონსტრს და ახლა არც „სან ხოსეს“ აგდებს უკეთეს დღეში. ტეხასელმა „ვარსკვლავებმა“ კარგად აწყობილი დაცვითი თამაშით და თავიანთი ლიდერების — მაიკ მოდანოს, ბრენდან მოროუსა და ბრედ რიჩარდსის მაღალი საშემსრულებლო ოსტატობის ხარჯზე უკვე ორი გასვლით მატჩი აართვეს „ზვიგენებს“ და ახლა სასწაული უნდა მოხდეს, ეს უპირატესობა ხელიდან რომ გაუშვან.

მეტი იყო მოსალოდნელი გასული საუკუნის მიწურულის ორი დაუძინებელი მტრის — „დეტროიტისა“ და „კოლორადოს“ ჯახისგანაც. რა თქმა უნდა, გუნდებისგან მასობრივი ჩხუბებითა და ერთმანეთის დასისხლიანებით გაჯერებულ სერიას არავინ მოელოდა, მაგრამ, ბევრის აზრით, დაძაბული ბატალიები მაინც უნდა გამართულიყო. თუმც „წითელფრთიანები“ ჯერჯერობით პირწმინდად ჩაგრავენ დენვერელებს. ჩატარებული ორი მატჩის გმირი კი შვედი იუჰან ფრენცენია, რომელიც მიჩიგანურ გუნდს უკვე 5 შაიბით შეეწია.

ქახა ლომაშვილი

იუჰან ფრენცენი

მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ინგლისი. 19 აპრილი-5 მაისი

მეორე წრე

რონი ოსალივანი (ინგლისი) — მარკ უილიამსი (ინგლისი) 13:7; ლიან ვენბო (ჩინეთი) — ჯო სვეილი (ჩრდ. ირლანდია) 13:12; სტივ მაგუაერი (შოტლანდია) — ნილ რობერტსონი (ავსტრალია) 13:7; ჯო პერი (ინგლისი) — სტიუარტ ბინემი (ინგლისი) 13:9



მაქსიმალური რონი

ყოველგვარი პირადი სიმპათიების გარეშე ვთქვათ — თუ ხასიათზეა, რონი ოსალივანისთვის სნუკერის მაგიდასთან მიუღწეველისა და მაქსიმალურის ცნება არ არსებობს. მაქსიმალურში თამაშის ხარისხს ვგულისხმობთ, თორემ ერთ ფრეიმში 147 ქულას ვერანაირად ვერ გადააჯტები.

147 ქულა კი მიყოლებით 36 ზუსტი დარტყმა — 15 წითელი, რომლებსაც, მხოლოდდამხოლოდ ყველაზე „ძვირი", ასევე 15 შავი ბურთულა უნდა მიჰყვეს და მაგიდიდან წითლები რომ გაქრება, შემდეგ ყვითელი, მწვანე, ყავისფერი, ლურჯი, ვარდისფერი და ბოლოს, ისევ შავი. 36 ზუსტი დარტყმა და 147 ქულა — ამას, მხოლოდ დიდოსტატები ახერხებენ, ისიც ერთიორჯერ კარიერაში და რონი ოსალივანმა კი შეფილდში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე წრის მატჩში, მასავით ორგზის ჩემპიონ მარკ უილიამსთან, მეცხრედ გააკეთა მაქსიმალური ბრეიკი და აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — აქამდე რვა-რვა 147-ქულიანი ბრეიკით, რონი პირველობას შვიდგზის ჩემპიონ სტივ ჰენდრისთან ერთად იყოფდა.

არადა, პირველ წრეში, ჩინელ თინეიჯერ ლიუ ჩანთან შეხვედრისას, რონი საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდა და თავიდან, არც უილიამსთან ბრწყინავდა, მაგრამ მერე ძველი „რაკეტა" გაცოცხლდა, ანუ ჯადოქარი ჯადოქრულად ათამაშდა და_ 140, 102, 100 და ბოლო წერტილი, მატჩის მეოცე ფრეიმში, რონიმ 147-ქულიანი ბრეიკით დასვა.

მეოთხედფინალში ოსალივანი კიდევ ერთ ჩინელს, ლიან ვენბოს შეხვდება, რომელმაც ირლანდიელი ექსჩემპიონის, კენ დოჰერტის გზას მრავალნაცადი ჩრდილოირლანდიელი ჯო სვეილიც გაუყენა. 21 წლის ვენბო პირველივე სესიის შემდეგ 6:2 დაწინაურდა და თითქოს უპრობლემოდ უნდა გასულიყო ფონს, მაგრამ სვეილი არ გატყდა, ირლანდიელმა ბოლოს 9:12-დან ანგარიშის გათანაბრებაც კი შეძლო, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა მაინც ჩინელს დარჩა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოსალივანი ვენბოს ზედმეტი გართულებების გარეშე აჯობებს და მაშინ დიდია იმის ალბათობა, რომ ნახევარფინალში ორი სუპერდიდოსტატის ოცნების მატჩი მივიღოთ — რონი ოსალივანი სტივ ჰენდრის წინააღმდეგ.

თავად ჰენდრიმ მეორე წრეში ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულ ჩინელ დინ ჯუნხუს უიოლესად მოუგო — პირველივე სერიაში 6:2 დაწინაურდა და მერე მეტოქე ახლოს აღარ გაიკარა. თუმც ახლა შვიდგზის ჩემპიონს ურთულესი მეოთხედფინალური მატჩი ელის ბრწყინვალე ფორმაში მყოფ რაიან დეისთან, რომელმაც შარშანდელი ტრიუმფატორი ჯონ ჰიგინსი დაჯაბნა და საჩემპიონო ტახტი გაათავისუფლა.

ჩემპიონატის დაწყებამდე ფავორიტებზე რომ ვსაუბრობდით, დიდი ხუთეული გამოვყავით და ორი წრის შემდეგ იმ ხუთეულიდან ორნიღა აგრძელებენ თამაშს — ოსალივანი და სტივ მაგუაერი. მარკ სელბი პირველივე შეხვედრაში დამარცხდა და შემდეგ კი მისი ბედი ჯუნხუმ და შონ მერფიმ გაიზიარეს. მერფის ალისტერ კარტერთან არანაირი შანსი არ ჰქონია, რაზედაც ანგარიშიც კარგად მეტყველებს — 13:4.

მაგუაერს რაც შეეხება, მან ჩემპიონატი ფენომენალურად დაიწყო — ჯერ ენტონი ჰემილტონი გაანადგურა და მეორე წრეში კი 9:0-ს უგებდა მძლავრ ნილ რობერტსონს. აი, აქ კი მაგუაერის თამაშში რაღაც აირია. შოტლანდიელს ნერვიულობა დაეტყო და რობერტსონმა ჩამორჩენა 7:11-მდე შეამცირა, თუმც მეტი ვეღარ შეძლო.

მეოთხედფინალში მაგუაერი მშვენივრად მოთამაშე ჯო პერის ხვდება, ხოლო კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი კარტერმა და ინგლისელმა ექსჩემპიონმა პიტერ ებდონმა შეადგინეს, რომელმაც მეორე წრეში უპრობლემოდ აჯობა სელბის მძლეველ მარკ კინგს.



რუბრიკას წარმოგიდგენთ

Mobil

№ 1 საავტომობილო ზეთი

იორდანია პირველმა ჰირვონენმა გალია



ორი ლათინოამერიკული ეტაპის (მექსიკა და არგენტინა) შემდეგ რალის ქარავანი არაბეთში, კერძოდ კი იორდანიაში ჩავიდა და წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი მოილია.

იორდანიის რალი პირველადაა მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში და იქაურ ქვაღორღიან და თანაც უცხო გზებზე რბოლა ისეთ დიდოსტატსაც კი გაუჭირდა, ოთხგზის ჩემპიონი სებასტიენ ლოები რომ არის.

მრბოლებს სულ 983,5 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი, რომელთაგან 359,26 კილომეტრი 22 სპეცმონაკვეთზე მოდიოდა. პირველი სამი დოპი „სიტროენში" ლოების ესპანელმა თანაგუნდელმა დანი სორდომ მოიგო და პირველი დღის შემდეგ სწორედ ის დაწინაურდა. ლოები და „ფორდის" ფინელები — მიკო ჰირვონენი და იარი-მატი ლატვალა ესპანელს მცირედით ჩამორჩებოდნენ.

მეორე დღე ლოების აქტიურობით დაიწყო. ფრანგმა დიდოსტატმა ექვსი სპეცმონაკვეთიდან ხუთი მოიგო და თანაგუნდელს გადაასწრო, მაგრამ შემდეგ, თითქოს უწყინარ სიტუაციაში კიდევ ერთ თანაგუნდელს, ზიმბაბველ კონრად რაუტენბახს უკნიდან შეასკდა, ბლომად დრო დაკარგა და მართალია, რალის დასკვნით დღეს კიდევ სამ დოპზე იმარჯვა, ჩამორჩენის აღმოფხვრა ვეღარ შეძლო და ქულათა ზონაშიც კი ვეღარ მოხვდა.

ორი დღის შემდეგ ისევ სორდო ლიდერობდა, ოღონდაც, აქ საქმე ცოტა სხვანაირად იყო — ჰირვონენსა და ლატვალას ესპანელის გადასწრება თავისუფლად შეეძლოთ, მაგრამ ფინელებმა შეგნებულად დაადეს ტემპი ისე, რომ ცოტა, ოდენ წამები წაეგოთ და თავში სორდო დაეტოვებინათ. ეს იმიტომ, რომ რეგლამენტის მიხედვით, დასკვნით დღეს ტრასაზე პირველი ლიდერი უნდა გასულიყო და „ფორდის" მრბოლებს არ სურდათ, თვითონ გაეკვალათ უცხო არაბული გზები.

„ფორდის" ამ ტაქტიკამ სანახევროდ გაამართლა — საბოლოო ჯამში ჰირვონენმა წუთზე მეტით აჯობა სორდოს და წლეულს პირველი გამარჯვება მოიპოვა.

აი, ლატვალს კი არ გაუმართლა — ფინელის „ფორდს" პრობლემები შეექმნა და ეგ კი არა, ლატვალას თანაეკიპაჟელი მიკა ანტილა ბეწვზე გადარჩა — მანქანის ქვეშ შემძვრალს უცბად მანქანა მთელი სიმძიმით დააწვა მაღლიდან და ბედად, იქვე მყოფებს რომ არ ემარჯვათ, ანტალისგან დაკეპილი ხორცის ნაჭერიღა დარჩებოდა.

ამ ხიფათიანი თავგადასავლის შემდეგ ლატვალა-ანტილას ეკიპაჟმა ოდენ მეშვიდე ადგილი დაიკავა. პოდიუმზე კი ჰირვონენს გვერდი სორდომ და წლეულს უაღრესად სტაბილურად მრბოლმა ავსტრალიელმა კრის ატკინსონმა დაუმშვენეს.

ატკინსონი საერთო ჩათვლაშიც მესამეა, პირველზე კი იორდანიული გამარჯვებით წყალობით ჰირვონენმა გადაინაცვლა. მიკო სების 5 ქულას უსწრებს, არადა, ფრანგმა სამი ეტაპი მოიგო, ფინელმა კი მხოლოდ ერთი, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰირვონენმა ხუთივე ეტაპზე შეძლო ქულების მოპოვება, როდესაც ლოები, უკვე მეორედ დარჩა უქულოდ.

შემდეგი, მე-6 ეტაპი იტალიაში, კუნძულ სარდინიაზე 16-18 მაისს გაიმართება.

ძახა ლომაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
V ეტაპი. იორდანიის რალი. ამანი. 25-27აპრილი

რბოლის შედეგები

1. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი") -------- 4 სთ 2 წთ 47,9 წმ
2. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი") ----- +1 წთ და 15,7 წმ
3. კრის ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ") ---------- +5.00,4
4. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდ-სტობარტი") ------- +7.35,8
5. მეტიუ უილსონი (ბრიტანეთი, „ფორდ-სტობარტი") ------- +10.41,7
6. ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა„, ფორდ-მუნჩი") -------- +11.22,2
7. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი") ---------- +12.15,6
8. ჯიჯი გალი (იტალია, „ფორდი") ---------- +12.24,4

საერთო ჩათვლა

1. ჰირვონენი 35 ქულა; 2. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი") 30; 3. ატკინსონი 28; 4. ლატვალა 18; 5. სორდო 17; 6. გალი 12; 7-8. ჰ. სოლბერგი და პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ") 9-9; 9. ვილაგრა 8; 10. უილსონი 7

კონსტრუქტორთა თასი

1. ფორდი 57 ქულა; 2. სიტროენი 50; 3. სუბარუ 39; 4. ფორდი-სტობარტი 29; 5. ფორდ-მუნჩი 14; 6. სუძუკი 6

ტაისენი ცვლილებებს ითხოვს

„BMW-ზაუბერის" ხელმძღვანელმა მარიო ტაისენმა კვირას გამართული ესპანეთის დიდი პრიზის შემდეგ საყვედურნარევი იმედი გამოთქვა იმასან დაკავშირებით, რომ მომავალში ტრასაზე უსაფრთხოებას მანქანის გამოჩენა მრბოლებს ხელს აღარ შეუშლის.

საქმე იმაშია, რომ „მაკლარენ-მერსედესის" ფინელი მრბოლის, ჰეიკი კოვალაინენის ავარიის შემდეგ „კატალონია მონტმელოს" ტრასაზე პეისიკარი, ანუ უსაფრთხოების „მერსედესი" გამოჩნდა. ამ მომენტისთვის ჰელოტონის თავში „BMW-ზაუბერის" გერმანელი პილოტი ნიკ ჰაიდფელდი იყო, ვინც, სხვა მოწინააღმდეგეებისგან განსხვავებით, ჯერ არ იყო ბოქსებში შესული საბურავების შესაცვლელად და საწვავის შესავსებად.



უსაფრთხოების მანქანის ტრასაზე ყოფნისას ბოქსებში შესვლა აკრძალულია, არადა, ჰაიდფელდს საწვავი, უკვე ელეოდა და „პეისაკარი" ჯერ გასული არ იყო ტრასიდან, ანუ ბოქსებთან წითელი შუქი ენთო, როცა ჰაიდფელდმა პიტ-ლაინისკენ შეუხვია — სხვანაირად ის შუა გზაზე გაჩერდებოდა, მაგრამ წესი წესია და გერმანელი 10 წამით დააჯარიმეს.

სწორედ ამას აპროტესტებს მარიო ტაისენი და ითხოვს, რომ სამომავლოდ, მსგავსი გაუგებრობები აღარ მოხდეს.

ძახა ლომაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

SLOT POKER CLUB VEGA

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. ფუხელ

მანჩესტერი 1:0 ბარსელონა (0:0)

1:0 სქოულზი (14)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ჰარგრივსი, ფერდინანდი, ბრაუნი, ევრა (სილვესტრი 90), ნანი (გიგზი 77), სქოულზი (ფლეტჩერი 77), კარიკი, პარკი, რონალდუ, ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მილიტო, აბიდალი, ხავი, ტურე (გუდიონსენი 88), დეკუ, მესი, ინიესტა (ანრი 61), ეტოო (კრკიჩი 72)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ძამბროტა (52), დეკუ (54), კარიკი (63), რონალდუ (68), ტურე (70)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
76 000 მაყურებელი

წმინდა სისხლის ფინალი

1999 წლის მერე „მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავ ფინალშია — ალექს ფერგიუსონის გუნდს მოსკოვის ბილეთები პოლ სქოულზის დიდებულმა გასროლამ აუღო.

მართალია, ცხრა წლისწინანდელ „ტრებლს“ (ინგლისის ჩემპიონობა, ასოციაციის თასი და ჩემპიონთა თასი) „წითლები“ ველარ გაიმეორებენ, რაკილა სერ ალექსის ბიჭები ასოციაციის თასიდან კარგა ხანია, გავარდნენ, მაგრამ ეს არაა მთავარი, მთავარი ისაა, რომ 21 მაისს „ლუჟნიკიზე“ ვინძლო წუხანდელზე არანაკლებ ზღაპრული თამაში გაჩაღდეს, არ აქვს მნიშვნელობა, „ჩელსი“ — „ლივერპულის“ წყვილიდან დღეს რომელი იფინალისტებს, ფინალი ხომ წმინდა ინგლისური იქნება, ეს კი ტემპიანი და ეშხიანი ფეხბურთის გარანტიაა. შევნიშნოთ: 2003 წლის მერე ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთი ქვეყნის გუნდებს არ უთამაშიათ — გეხსომებათ, მაშინ ფინალი წმინდა იტალიური იყო და „მილანმა“ მანჩესტერის „ოლდ ტრაფორდზე“ პენალტების სერიაში 3:2 დაამარცხა ტურინის „იუვენტუსი“.

ახლა კი საკუთრივ მატჩზე, რომლის აღწერაც ძალიან ძნელია და რომლის შედეგმაც „ბარსას“ ქომაგებს გული ჩასწყვიტა...

არადა, შეხვედრა „ბარსელონას“ შეტევებით დაიწყო, კატალონიელთა შუა ხაზი (ხავი-ტურე-დეკუ) აშკარად ჯობნიდა ბრიტანელთა კვარტეტს, რამდენიმე ეპიზოდში არადამაჯერებელი გახლდათ მეკარე ედვინ ვან დერ სარიც და მანჩესტერელთა მცველებიც დიდი გაჭირვებით უმკლავდებოდნენ რეაქტიულ ლიონელ მესის, მაგრამ დადგა მე-14 წუთი და გოლი სტუმრების კარში გავიდა — ჯანლუკა ძამბროტამ სიჩქარეაკრეფილი კრიშტიანუ რონალდუ კი შეაჩერა, მაგრამ ბურთი კარგად ვერ ამოიტანა, საჯარიმოს სიახლოვეს, ცენტრში ჩააბარა პოლ სქოულზს, რომელსაც ბევრი არც უფიქრია, სივრცე ჰქონდა, ბურთიც გაისწორა და ისეთი გემრიელი ამოსცხო, ათი ვალდესი ვერ აიღებდა — 1:0.

„ბარსელონა“ გაშვებულმა გოლმა გაახელა, უფრო და უფრო უჭირდათ მცველებს მესის შეჩერება, რომელსაც მხარი სამუელ ეტოომაც აუბა, თუმც კორეელ ჯი-სუნ პარკს რომ ეყოჩაღა, ვინ იცის, ეგებ, ფინალის საგზურის ბედი პირველსავე ტაიმში გადაწყვეტილიყო.

მეორე ტაიმში კი უკვე სხვა „მანჩესტერი“ ვიხილეთ, ლაღად მობურთალ გუნდს არანაირად არ დასტყობია ტრავმირებული უეინ რუნის არყოფნა, საგოლე მომენტებიც მრავლად შექმნეს ფერგიუსონის ბიჭებმა, მაგრამ რაც უფრო ილეოდა დრო, „ბარსელონაც“ მძლავრად უტევდა. რა არ იღონეს ერთადერთი გოლის გასატანად სტუმრებმა, ფრანკ რაიკარდმა ჯერ ტიერი ანრი, მერე ბოიან კრკიჩი შეუშვა მინდორზე, ბოლოს მათ ეიდურ გუდიონსენიც დაამატა და „ბარსაც“, მესის ჩათვლით, ოთხი თავდამსხმელით უტევდა, მაგრამ...

...მსაჯის დამატებულ მესამე წუთზე კრიშტიანუ რონალდუ ფლანგზე დაჯარიმდა, გოლის იმედად მეტოქის საჯარიმოში მეკარე ვალდესიც ჩავიდა, დეკუმ ჩააწოდა, რიო ფერდინანდმა კი თავით ბურთი მშვიდად გამოიტანა. გამოიტანა და ჰერბერტ ფანდელმაც ჩასტვინა — იღრიალა „ოლდ ტრაფორდმა“, „მანჩესტერი“ ფინალშია.

გიორგი ვაშაკიძე

ინგლისი
მეორე ლიგა
გადადებული მატჩი
ჩესტერი 0:0 სტოკპორტი

იაპონია
ჯეი ლიგა. IX ტური
ივატა 2:0 კიოტო
კაშივა 0:2 შიმიცუ
ნიიგატა 0:0 ვერდი
ურავა 4:2 საპორო
ტოკიო 1:0 ოიტა
ნაგოია 1:2 კავაზაკი
იოკოჰამა 3:0 იჩიჰარა

ხორვატია
პირველი დივიზიონი
XXXI ტური
ჰაიდუკი 0:2 ოსიეკი

ავსტრია
პირველი დივიზიონი
XXIX ტური
აუსტრია (მ) 3:3 კაპფენბერგი
ლუსტენაუ 0:1 გრატკორნი
კერნტენი 1:0 შვადორფი
ლეობენი 0:1 შვანენშტადტი
პარნდორფი 2:1 აუსტრია (ლ)
ზალცბურგი (მ) 0:2 ბად აუზეე

ჰოლანდია
საჩემპიონთალიგო პლეი ოფი
პირველი მატჩი
ტვენტე 3:0 ბრედა

ჩილე
აპერტურა
XVII ტური
კობრელალი 4:1 დეპ. კონსეპსიონი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge